# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი № 4 (60) 31 იანვარი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოგეხსენებათ, რედაქციაში ჟურნალისტები მუშაობენ და არა პოლიტიკოსები. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მივცემთ თავს უფლებას შევაფასოთ ქვემოწარმოდგენილი წერილის მართებულობა-უმართებულობის საკითხი. ერთი კია, აქ წამოჭრილი საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ვფიქრობთ, უპრიანი იქნება, კომპეტენტურმა პირებმა წარმოადგინონ თავისი თვალსაზრისი.**

# არ მოუგვიანდეს მოჩქარეს!

რუსლან ღონღაძე

ქართველებს რაცა გვჭირს, მეტწილად აჩქარებისა გამო გვჭირს. თუ დაკვირვებით გადავხედავთ ბოლო ოთხი წლის ჩვენს ისტორიულ მონაკვეთს, საუკუნის შეცდომებზე რომ არაფერი ვთქვათ, მიზეზთა მიზეზი ჩვენი უბედურებისა, ჩვენივე დაუდგრომელი ხასიათია, მოუთმენლობა და სიჩქარე, სოფლად ქეცქეცობას რომ ეძახიან. რასაკვირველია, არსებობს საკითხები, რომლებიც სასწრაფო გადაჭრას მოითხოვს, მაგრამ სწორედ ამ საკითხების გამორკვევაში ხშირად ვაყოვნებთ, ვიჩენთ სიზანტეს. ჩვენს ტრაგიკულ, ბოლოდროინდელ მოვლენებს ისტორიკოსები და პოლიტოლოგები შეაფასებენ, ხოლო რაც შეეხება მომდევნო ეტაპს, გამოსავალს - ეროვნული კრების მოწვევას, მომავალი პარლამენტის არჩევნებს, ოცდაერთი წლის კონსტიტუციის აღდგენას და საერთოდ ჩვენს მომავალ კანონიერ არსებობას, რომლის გარშემო დიდი სჯაბაასი და კამათია გაჩაღებული საქართველოს მასშტაბით - ამ სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტა ნაჩქარევად არ გამოგვივიდეს, რადგან ჩვენი დღევანდელი შეცდომა ჩვენს შვილებს მძიმედ დაუჯდებათ. ამ პრობლემების გარშემო მსჯელობდნენ უზენაესი საბჭოს უფლებაშეჩერებული დეპუტატებიც, პარტიათა საკოორდინაციო საწჭოზეც; ამ საკითხების გარშემო იმსჯელეს კონგრესის სესიაზეც და შესაბამისი რეზოლუციაც მიიღეს. ამჟამად არ შევუდგები ამ რეზოლუციის მთლიან განხილვას, გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში" 22.1.92 წ. , თუმც მიმაჩნია რომ ეს აქტი ნაჩქარევია, რამდენიმე მიზეზის გამო.

1. საქართველოს დროებითი მთავრობა ვერ აღიარებს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას, როგორც ძირითად სამართებლივ დოკუმენტს და ვერ დაიწყებს მასზე დაყრდნობით მოქმედებას, რადგან დროებითი მთავრობა დანიშნა სამხედრო საბჭომ, მანვე თავისივე ბრძანებით შეაჩერა კონსტიტუცია როგორც მოქმედი, ასევე ყოველგვარი, რადგან ქვეყანაში მოქმედებს სამხედრო წესები. ამ სამხედრო წესის მიხედვით აკრძალულია ყოველგვარი თავყრილობები და მიტინგები, შესაბამისად კონგრესის დოკუმენტებიც კონგრესგარეშე რჩება. დაშვებულია მხოლოდ საკონსულტაციო, არაოფიციალური შეხვედრების ჩატარება. მაგრამ დავუშვათ, თვით სამხედრო საბჭომ აღიაროს ოცდაერთი წლის კონსტიტუცია, რაც თავისთავად სამართლებრივად შეუსაბამოა, მაგრამ დავუშვათ, აღიაროს ხსენებული კონსტიტუცია და ძალაუფლება მომავალი პარლამენტის არჩევნებამდე გადასცეს დროებით მთავრობას, რა პრობლემების წინაშე დადგება დროებითი მთავრობა? მთავრობა ავტომატურად ომის მდგომარეობაში აღმოჩნდება იმ ქვეყნის წინაშე, ვის დაქვემდებარებაშიც იმყოფება საქართველოში განლაგებული ჯარის ნაწილები. მართალია, ამ ჯარის ნაწილებს მიენიჭათ უცხო ქვეყნის ჯარის სტატუსი, მაგრამ არავისთვის ცნობილი არ არის თუ დროის რა მონაკვეთში იქნება ეს ჯარი გაყვანილი საქართველოდან. ხოლო ოცდაერთი წლის კონსტიტუციით უცხო ქვეყნის ჯარის სტატუსი განსაზღვრული არაა.

2. დავუშვათ, ამ ჯართანაც გავარკვიეთ ურთიერთობა, მაგრამ რა ვუყოთ ქართულ ფულს?.. ეროვნული ფულის მოჭრას შესაბამისი მომზადება, დაბოლოს უცხოური ვალუტა სჭირდება. როგორ უნდა იმოქმედოს ოცდაერთი წლის კონსტიტუციამ საბჭოური, იმპერიული ფულის ნიშნების მიმოქცევის პორობებში?

3. რა ვუყოთ საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის აღდგენას, რომელსაც გვთავაზობენ 1919 წლის 27 მაისის მოქალაქეობის კანონის საფუძველზე? იქ ხომ ნათლად სწერია რომ საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, ვინც 1914 წლის ივლისიდან რომელიმე ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულზე იყო მიწერილი. მაშასადამე, ეს კანონიც საფუძვლიან ცვლილებებს მოითხოვს. ამასთანავე, საქართველოში ბევრი ხიზანი და სტუმარია, უნდა განისაზღვროს მათი სტატუსიც. უნდა მოხდეს მოსახლეობის აღწერა, პასპორტიზაცია და ამას სჭირდება დრო. ამასთანავე უნდა დაიბეჭდოს ქართული პასპორტები, საერთაშორისო ნორმების დაცვით, და ამ საქმესაც უცხოური ვალუტა დასჭირდება.

დაბოლოს, 4. რა ვუყოთ ხსენებული კონსტიტუციის 107-ხე მუხლს, რომელიც ავტონომიურ მმართველობას ეხება? რასაკვირველია სამხედრო საბჭო ამ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს, ვერ გადაწყვეტს ვერც დროებითი მთავრობა და, მე ვიტყოდი, ამ მძიმე საკითხების გადაწყვეტა მომავალ პარლამენტსაც გაუჭირდება... ამრიგად, მისასალმებელია კონგრესის სესიის მისწრაფება - არ შეიქმნას საკანონმდებლო ხელისუფლების ვაკუუმი, თუმც მიღებულ რეზოლუციაში საკამათო ადგილებიც ბევრია, უმჯობესია ერთმანეთის მიმართ კატეგორიულები თუ არ ვიქნებით, თანაც ამ დროში, ჩემი აზრით, საჩქარო არაფერია, ვაკუუმი არსებობს, კიდევ ერთხანს იარსებებს - აქაც საშიში არაფერია და ზოგადი საუბარი რომ არ გამომივიდეს გამოსვლის საძებნელად მოკრძალებულად ჩემს ვარიანტსაც შემოგთავაზებთ.

ვეთანხმები კონგრესის წევრებსაც, პარტიათა საკოორდინაციო ჯგუფსაც, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფსაც, რომლებიც მოითხოვენ სახალხო, ეროვნული კრების მოწვევას. ოღონდ აქაც არ ვიჩქაროთ და მოვიწვიოთ სახალხო-ეროვნული კრება მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში. მანამდე, ძალიან კარგი იქნებოდა, ეროვნული კრების დაწყებამდე, დანიშნულ დღეს, ერთი-ორი საათით ადრე, სამხედრო საბჭოს აღედგინა შეჩერებული კოსტიტუცია, მოწვეულიყო ერთდროულად, რასაკვირველია, სხვადასხვა დარბაზებში, როგორც უზენაესი საბჭოს ასევე კონგრესის საგანგებო სესიები, ამ სესიებზე განეხილათ შეთანხმებული საარჩევნო კანონპროექტი, მიეღოთ ეს საარჩევნო კანონი, დაედგინათ მომავალი პარლამენტის არჩევნების თარიღი, დაეკონსერვებინათ ეს ორგანოები და თავიანთი უფლებამოსილება გადაეცათ სახალხო-ეროვნული კრებისათვის. შემდეგ, სრული შემადგენლობით დასწრებოდნენ სახალხო ეროვნულ კრებას, სადაც მათი თავმჯდომარეები საჯაროდ განაცხადებდნენ ამ კრებისადმი უფლებამოსილების გადაცემას. შესაძლებელია, ეს აქტი მომავალში საქართველოს შერიგების აქტად მონათლულიყო.

ამ სახალხო-ეროვნულ ყრილობაზე ნებისმიერი საკითხის გადაჭრა იქნება შესაძლებელი. ეს ყრილობა შეაფასებს მიმდინარე მოვლენებს, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას დროებითი მთავრობის მიმართ, დაამტკიცებს მომავალი პარლამენტის საარჩევნო კანონს, არჩევნების თარიღს, აირჩევს ეროვნული კრების საკოორდინაციო საბჭოს, რომელსაც დროებით დაეკისრება დროებითი მთავრობის საკანონმდებლო კონსულტაციის ფუნქცია და საჭიროების შემთხვევაში მოიწვევს ეროვნულ კრებას.

ახლა, რაც შეეხება პარლამენტს. ჩემი აზრით მომავალი პარლამენტი ორი წლის ვადით უნდა აირჩეს. აქ მივადექი უმთავრეს საკითხს. სწორედ ამ მუდმივმოქმედმა და ამავე დროს მოკლევადიანმა პარლამენტმა, ქვეყნის მოსაწესრიგებელ საქმიანობასთან ერთად უნდა შეასრულოს შემდეგი სამუშაო:

1. დააკანონოს ყველა დეკრეტი თუ დადგენილება, შესწორებებით ან იმ სახით რომელსაც მიიღებს დროებითი მთავრობა. 2. მოამზადოს და ჩაატაროს რეფერენდუმი: საქართველო - კონსტიტუციური მონარქიის თუ საპარლამენტო ქვეყანა იქნება. 3. რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად მოამზადოს კონსტიტუციური ცვლილებანი 1921 წლის კონსტიტუციისა. 4. შექმნას ეროვნული ფული და ყველა საფუძველი მოამზადოს ბრუნვაში შემოსატანად. 5. ჩაატაროს მოსახლეობის აღწერა, დაადგინოს მოქალაქეობის ცენზი, შესწორება შეიტანოს 1919 წლის 27 მაისის მოქალაქეობის კანონში. 5. გაარკვიოს უცხო ქვეყნის ჯარის გაყვანის პირობები და ვადები, მათ ხელმძღვანელობასთან დადოს დროებითი ხელშეკრულება ჯარის სტატუსის, დაქვემდებარების თუ იურისდიქციის შესაბამისად. 5. მოამზადოს და მოწვიოს II დამფუძნებელი კრება, რომელსაც გადასცემს უფლებამოსილებას. ეს კრება აღადგენს ოცდაერთი წლის კონსტიტუციას შესწორებებით, დაამტკიცებს მოქალაქეობის კანონს, ოფიციალურად დაუშვებს ეროვნულ ფულს; თუ რეფერენდუმით უპირატესობა მიენიჭა კონსტიტუციურ მონარქიას, აღიარებს მას; დანიშნავს ახალი, გრძელვადიანი პარლამენტის არჩევნებს.

ამგვარი გზა მესახება პოლიტიკური პროცესების მოსაგვარებლად, რაც ვგონებ, ბევრისთვის არ უნდა იყოს უცხო და გაუგებარი. შეიძლება უკეთესი აზრიც გამოიკვეთოს, და ამას რა სჯობს! ოღონდ, ნუღარ ვიჩქარებთ, მოთმინებით, ურთიერთმიტევებით ავაშენოთ ჩვენი გაპარტახებული, გულდაგლეჯილი სამშობლო. ყველას გვახსოვს: რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია. დგება ჟამი სიყვარულის, ჟამი შენდობის, ჟამი შენების...

22 იანვარი, 1992 წელი.

## მოჯადოებულ წრეში

### (გაზეთ „საქართველოს" ხელმომწერთა და სხვათა საყურადღებოდ)

სარედაქციო ფოსტა აივსო წერილებით, სადაც ხელმომწერები გვთხოვენ დახმარებას ჩვენი გაზეთის ნომრების მიღებაში. ხელმომწერთა ერთი ნაწილი შემოგვჩივის, რომ 1992 წლის იანვრის თვეში არ მიუღიათ გაზეთ „საქართველოს" არც ერთი ნომერი და გაზრდილი ფასებით უხდებათ მისი შეძენა ჯიხურებში. თავისი რაიონის საფოსტო განყოფილებაში მათ ნაირნაირი მიზეზებით ისტუმრებენ: „სტამბა ნომრებს გვაკლებს", „ ხელმოწერები დაიწვა კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ერთად", „რედაქციას (?) მიმართეთ", „ჯიხურებში ყიდიან „ლევად", „თავში ქვა გიხლიათ" და ასე შემდეგ.

თხოვნით მივმართავთ კავშირგაბმულობის სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას, მოაგვაროს გაზეთ „საქართველოს" გავრცელების საკითხი. ასეთი თხოვნით ყოფილი ხელმძღვანელობისთვისაც არაერთგზის მიგვიმართავს, მაგრამ უშედეგოდ. იმედია, სამინისტროს ახლანდელი მესვეურნი გაითვალისწინებენ ჩვენს თხოვნას და წინამორბედთა შეცდომებს არ გაიმეორებენ.



## პრესკონფერენცია ბატონ რომან გვენცაძესთან

**გუშინ, 30 იანვარს ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა რომან გვენცაძემ.**

პრესკონფერენციამ თითქმის სამ საათს გასტანა. გაზეთი უკვე დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც პრესკონფერეცია დასრულდა. ამის გამო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან შეხვედრის ვრცელ ანგარიშს ვერ ვაქვეყნებთ.

ბატონი რომან გვენცაძე საუბრობდა ჯულახდილად, ტაქტიანად და, რაც მთავარია, გონივრულად. ამ ფაქტს ხაზს ვუსვამთ იმის გამო, რომ უკანასკნელ წლებში შინაგან საქმეთა მინისტრების გამოსვლები ხშირად გვახსენებდა იმ ფაქტს, რომ ჩვენში ყველაფრის დეფიციტთან ერთად ჭკუის დეფიციტიც არსებობს.

რომან გვენცაძის გეგმებმა იმედიანად განგვაწყო. იქნებ მართლა ეშველოს ცოტა რამ მაინც კრიმინალური ქრონიკებისგან შემდგარ ჩვენს არეულ დროს და დროის შესაფერის მილიციას...

# პოზიცია

## ნოდარ ნათაძე

შეპირებისამებრ მკითხველს ვთავაზობთ ბატონ ნოდარ ნათაძის განცხადებებს, რომლებიც ვრცელდებოდა დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს.

*

### მთავრობის სახლთან მიმდინარე პროცესების გამო

მოკლებული ვარ მთავრობის სახლთან მისვლის საშუალებას, ვინაიდან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩემი ყოველი ნაბიჯი, თვით მთავრობის სახლთან გამოჩენაც კი მთავრობის გაზეთებისა და ტელევიზიის მიერ გამოყენებული იქნება ბინძური დეზინფორმაციისა და ცილისწამებისათვის ჩემი მისამართით. ხელთ არ გამაჩნია მოვლენებზე ზემოქმედების რაიმე საშუალება. ვიმყოფები სახალხო ფრონტის ბინაში, მისამართი ყაზბეგის ქ.17, და მზად ვარ ჩემი წვლილი შევიტანო სასიკეთო საქმეში, თუკი ამის შესაძლებლობა მომეცემა. ჯერჯერობით ჩემთვის არავის მოუმართავს, აზრი არავის უკითხავს და რაიმე მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ შემოუთავაზებია.

ჩემი აზრი შემდეგია:

1. მასობრივი ფიზიკური დაპირისპირება არსებული ხელისუფლებისადმი საკუთარ ქვეყანაში რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ქვეყნის ინტერესებს არ იცავს ან ვერ იცავს დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურულია მოვლენებზე ზემოქმედების უკლებლივ ყველა საშუალება. დღეს ყველა საშუალება ამოწურული არ არის. თქმულიდან გამომდინარე, მე დღეს ჩემს თავზე ასეთ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ.

2. თუ არსებულ ხელისუფლებას ბრალად ედება ძალაუფლების უზურპაცია ან ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება, ეს ბრალდება უნდა ნათლად ჩამოყალიბდეს და ეცნობოს ხელისუფლების ყველა დამცველს წინასწარ, რათა მას შეეძლოს დროულად გადაწყვიტოს, ჰსურს ხელისუფლების დაცვა თუ არა.

3. პრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლება საქართველოში დღეს კანონიერია იმ ნაწილში, რომელშიც იგი გათვალისწინებულია საარჩევნო კანონით, და უზურპირებულია იმ ნაწილში, რომელშიც იგი ზემოხსენებულ უფლებამოსილებას აღემატება, სახელდობრ, იმ მხრივ, რომ არ არსებობს პრეზიდენტის უფლებათა კანონმდებლობითი რეგულირება და არ არსებობს მის მოქმედებათა მაკონტროლებელი ორგანო კონსტიტუციური სასამართლო და სხვა , აგრეთვე პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის უფლების შეზღუდვა ან კანონმდებლობითი რეგულირება, რითაც პრაქტიკულად განპირობებულია პრეზიდენტის დღევანდელი ანტიდემოკრატიული პოლიტიკის შესაძლებლობა.

4. საქართველოს არსებულმა ხელისუფლებამ ვერ გამოიჩინა ქვეყნის მართვის უნარი, პირველ ყოვლისა — შიდა ქართლის დაცვის უნარი. ამ უკანასკნელი ამოცანის გადაჭრა ყველაზე საჩქაროა, ამიტომ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარების მოგვარების ყველა ცდას პირველ ყოვლისა ეს მიზანი უნდა წარმართავდეს.

ხელისუფლებისადმი ქვეყნის უპირველესი მოთხოვნებია:

ა) შიდა ქართლის დაცვა ბ) მომავალ განახლებულ იმპერიაში ჩათრევისაგან საქართველოს დაცვა გ) საქართველოში ადამიანის ელემენტარული ადამიანურ უფლებათა დაცვა

აღარ მაქვს იმედი, რომ საქართველოს არსებულ ხელისუფლებას ამ ამოცანების გადაჭრა უნდა ან შეუძლია. ამიტომ, აუცილებელია, დაუყოვნებლივ ჩატარდეს ახალი საპარლამენტო არჩევნები და მთელი ხელისუფლება ამ ახალი პარლამენტის ხელში მოექცეს. მიმაჩნია, რომ ამისათვის საჭირო ყველა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს ცივილიზებულ მსოფლიოში მიღებული თანმიმდევრობით, მაგრამ ძალიან სწრაფად, რადგან ყოველი დაკარგული დღე საქართველოს აუნაზღაურებლად ზიანს აყენებს. შეიარაღებული დაპირისპირება ქართველებს შორის საჭირო არ უნდა გახდეს, რადგან ასეთ დაპირისპირებაში არც გამარჯვებული არსებობს და არც უდანაშაულო.

**21 XII 91წ.**

**P.S.** ეს განცხადება გაკეთებულია სამი დღის წინ, ანუ მთავრობის სახლთან სისხლის ღვრის დაწყებამდე. დღეს, როცა ტრაგედია უკვე დატრიალდა, საქმე გასცდა პოლიტიკის საზღვრებს და ადამიანის უპირველესი ზნეობრივი პასუხისმგებლობის სფეროს შეეხო. საჭიროდ მიმაჩნია დღევანდელი თანამემამულეებისა და შთამომავლობის წინაშე ვთქვა ყველაფერი, რაც ამ საკითხის შესახებ ვიცი.

მე არ დავიმალავ ჩემს აზრს და არც ახლა ვმალავ ჩემს აზრს, რომ ზ.გამსახურდიას მმართველობა, ისიც-ერთპიროვნული, საქართველოს ხრამში გადაჩეხავს იმჟამაც ღიად ვაცხადებ, რომ როცა ჩემიანები ხრამისაკენ მირბიან ჩემს ვალად მიმაჩნია წინ გადაველობოთ, თუნდაც გადამთელონ. ამიტომაც ვამბობ და ვწერ, რომ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი უნდა გადადგეს.მე არ ვამბობ, რომ იგი უნდა გადავაგდოთ. ვამბობ, რომ იგი თვითონ უნდა გადადგეს, რადგან ეს მისი ზნეობრივი მოვალეობაა, ჯერ ერთი, სანამ იგი თავის თანამდებობაზე იმყოფება, ჩვენ არ გვცნობენ დასავლეთის ქვეყნები. მეორეც, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ხალხს ესროლა, მას მორალური უფლება აღარ აქვს ერის სათავეში დარჩეს. ზ.გამსახურდიას ყოფნა ქვეყნის სათავეში მისი არაკომპეტენტურობისა და პოლიტიკური ეგოიზმის გამო დღეს შეუთავსებელია არა მარტო საქართველოს წარმატების ინტერესებთან, არამედ საქართველოს გადარჩენის ინტერესებთანაც.

არც იმას ვმალავ, რომ პოლიტიკას რეალისტურად ვუყურებ და ამიტომ არ მაქვს ილუზია, თითქოს ისტორია ყოველთვის ძალადობის გარეშე ვითარდებოდეს. მაგრამ კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის და ვარ დღესაც ისეთი მასობრივი ძალადობისა, როგორიცაა სამოქალაქო ომი, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით შეცვლა, როცა ერთმანეთს ებრძვის არა ორი კერძო პიროვნება, არამედ ორი მრავალრიცხოვანი აპარატი, ორი სახელმწიფო მანქანა. ასეთი ბრძოლა აუცილებლად დიდმასშტაბიანია და აუცილებლად დიდი სისხლის მღვრელი. რაც უნდა მწვავე იყოს დღეს საქართველოს გადარჩენის ამოცანა ამა თუ იმ სახიფათო ხელისუფლის ხელიდან(ამ შემთხვევაში-პრეზიდენტის ხელიდან), არ შეიძლება მივმართოთ სამოქალაქო ომს ან თუნდაც სახელმწიფო ხელისუფლებაზე მასობრივ შეტევას, როგორც პრობლემის გადაჭრის საშუალებას. ამიტომაც მე ვერაფრით დავუჭერდი მხარს მთავრობის სახლში შეჭრის მცდელობას, როგორც ამას მომაწერენ ხელისუფლების ხელში მყოფი პროპაგანდის საშუალებები.

უფრო მეტიც, საქართველოს დეზინფორმატორმა ტელევიზიამ და მისმა დეზინფორმატორმა ორატორებმა მაყურებელს საქმე ისე დაუხატეს, თითქოს მე მთავრობის სახლზე თავდასხმის ერთ-ერთი მომწყობი ვიყო. სინამდვილეში მე არც ოცი დეკემბრის მიტინგს დავსწრებივარ რესპუბლიკის მოედანზე და ცხადია, არც მთავრობის სასახლისაკენ მსვლელობაში მიმიღია მონაწილეობა, რომელიც მიტინგის წამყვანმა დაუშვა მოძრაობა „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს" საბჭოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ. დეპუტატ ქობულაშვილის განცხადებაც ტელევიზიით, თითქოს მე „სახალხო ფრონტის ბინიდან იარაღით დატვირთული მანქანა გამეგზავნოს", პირწმინდა შენათხზია, რომელსაც არავითარი ფაქტობრივი საფუძველი არ მოეპოვება. ეს შენათხზიც სხვა არა არის რა თუ არა ნაწილი ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტის მიერ ინსპირირებული კამპანიის, რომლის მიზანია მასის დეზინფორმაცია და ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ სისხლიანი რეპრესიების გატარებისათვის ფსიქოლოგიური ამინდის მომზადება, ლინჩის წესით ჩატარებული ანგარიშსწორების ჩათვლით. ცილისწამების ეს კამპანია რადიოსა და ტელევიზიაში სწორედ მაშინ დაიწყო(21.XII), როცა ცხადი გახდა, რომ მე არავითარი კავშირი გვარდიის მოქმედებასთან არ მქონდა.ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი დისკრედიტაცია ხელისუფლებისათვის თვითმიზანია და თუ ამას ფაქტები არ უწყობს ხელს, საჭიროა, „ფაქტების" შეთხზვა.

მიმაჩნია, რომ მიუხედავად ზემოთ ხსენებული უაღრესად დაძაბული ვითარებისა რომელიც სახიფათოა ყოველი დეპუტატის სიცოცხლისათვის, მაინც დაუყოვნებლივ მოწვეულ უნდა იქნას უზენაესი საბჭოს სესია, რათა მოხდეს რეაგირება ჩვენი ტერიტორიის ხელყოფის იმ მცდელობაზე, რასაც ადგილი აქვს დღეს შიდა ქართლის მიმართ.

**23.XII.1991წ.**

*

ა.წ. 20-22 დეკემბერს ტელევიზიით რამდენჯერმე ახსენეს ჩემი გვარი, როგორც „ოპოზიციის" წარმომადგენლისა, რომელსაც თითქოს რაღაც კავშირი მაქვს მთავრობის სახლთან შეიარაღებული ხალხის მისვლის ორგანიზაციასთან. 22 დეკემბერს ტელევიზიითვე დეპუტატმა ქობულაშვილმა თქვა, რომ „საქართველოს სახალხო ფრონტიდან" იარაღი გაიტანეს მთავრობის სახლზე თავდასასხმელად. ეს უსირცხვილო ცილისწამება მაიძულებს, განვაცხადო შემდეგი: პირველი: არც 20 დეკემბრის მიტინგზე რესპუბლიკის მოედანზე, არც შემდეგ მთავრობის სახლთან მე არ ვყოფილვარ, არსად სიტყვით არ გამოვსულვარ და საერთოდ არავითარი კავშირი არ მქონია და არ მაქვს არც პირადად, არც სახალხო ფრონტის ან ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის" ხაზით შეიარაღებულ ადამიანთა მისვლასთან მთავრობის სახლის წინ. მე ყოველთვის ვაცხადებდი და ახლაც ვაცხადებ, რომ ყოველგვარი სამოქალაქო ომის წინააღმდეგი ვარ. რაც შეეხება მონაჭორს სახალხო ფრონტიდან თითქოსდა იარაღის გატანის შესახებ ეს თავიდან ბოლომდე სიცრუეა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხში სახალხო ფრონტისადმი და ჩემდამი, როგორც მთავრობის პოლიტიკის მიმართ კრიტიკულად განწყობილი დეპუტატისადმი, უნდობლობის აღძვრას.

მეორე: ზემოხსენებული ცილისწამება ადასტურებს იმ ეჭვს, რომელიც დიდი ხანია არსებობს. სახელდობრ, დიდი ხანაა არსებობს აზრი, თბილისის ქუჩაში ან, მით უმეტეს, მთავრობის სახლთან შეიარაღებული ხალხის შეგროვება ხელს უწყობს პირველ რიგში ხელისუფლებას, რათა თავისი პოლიტიკური რეანიმაცია მოახდინოს და სახელმწიფო დანაშაული მიაწეროს ოპოზიციურ პარტიებს, ხოლო შემდეგ მათ წინააღმდეგ გაატაროს სისხლიანი რეპრესიები.

**22 დეკემბერი 1991წ.**

*

საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართ და სახალხო ფრონტის წევრი დეპუტატების მიმართ რადიოთი და ტელევიზიით ვრცელდება დეზინფორმაცია, თითქოს მათ მხარი დაეჭიროთ თბილისის ზღვასთან დაბინავებული გვარდიისათვის მთავრობის სახლთან მოსვლასა და შეიარაღებული მოქმედების დაწყებაში. ამასთან დეზინფორმაციის გამავრცელებელნი სარგებლობენ იმით რომ სახალხო ფრონტს არა აქვს ტელევიზიის ან რადიოს გამოყენების საშუალება. ამასთან დაკავშირებით სახალხო ფრონტი აცხადებს:

არავითარი მონაწილეობა არც მთავრობის სახლისაკენ მსვლელობაში 20 დეკემბერს არც ხელისუფლებისადმი მოთხოვნების წაყენებაში გვარდიელთა მიერ, რის შედეგადაც მოხდა შეიარაღებული კონფრონტაცია, საქართველოს სახალხო ფრონტს მონაწილეობა არ მიუღია, ვინაიდან საქართველოს სახალხო ფრონტი წინააღმდეგია მასობრივი ფიზიკური დაპირისპირებისა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, როცა არ არის ამოწურული მოქმედების სხვა საშუალება და კატეგორიულად წინააღმდეგია ყველა მოქმედებისა, რომელსაც შეიძლება ძმათა შორის სისხლისღვრა მოჰყვეს. ზემოხსენებული ცილისწამება საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართ განპირობებულია მხოლოდ ხელისუფლების სურვილით შექმნას ყალბი საფუძველი თავისი პოლიტიკური ოპონენტის მიმართ რეპრესიების ჩატარებისათვის და სახალხო ფრონტის წევრთა წინააღმდეგ მასობრივი ანგარიშსწორებისათვის ლინჩის წესით.

საქართველოს სახალხო ფრონტის წევრმა დეპუტატებმა ამ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ყველაფერი იღონეს, რათა მომხდარიყო შეთანხმება ხელისუფლებასა და თბილისის ზღვასთან მყოფ გვარდიელებს შორის ამ უკანასკნელთათვის ოფიციალური სტატუსის შექმნით და სახელმწიფო სტრუქტურებში მათი ჩართვით. სამწუხაროდ, სახალხო ფრონტის ამ ცდამ შედეგი ვერ გამოიღო.

თბილისში გრძელდება სისხლისღვრა, რომელზედაც პასუხისმგებლობა ორსავე მხარეს ეკისრება. საქართველოს სახალხო ფრონტი მოუწოდებს ორსავე მხარეს შეწყვიტონ ცეცხლი და კიდევ ერთხელ ცადონ ურთიერთობათა გარკვევა რეალისტური მოლაპარაკების გზით, თუნდაც შუამავალთა საშუალებით.

საქართველოს სახალხო ფრონტი

**23 XII 1991წ.**

*

დეპუტატმა ქობულაშვილმა ტელევიზიით განაცხადა, რომ „ნოდარ ნათაძემ იარაღით მანქანა დატვირთა და სახალხო ფრონტიდან გაგზავნა". ეს არის ტყუილი, რომელსაც მიზნად აქვს პრეზიდენტის გეგმის შესაბამისად, ჩვენი საერთო უბედურებისაგან გამწარებული ადამიანები შეცდომაში შეიყვანოს, რათა ოპოზიციონერ დეპუტატთა და ოპოზიციური პარტიის წევრთა სისხლი დაალვრევინოს. დეპუტატმა ქობულაშვილმა თვითონვე აღიარა უნივერსიტეტის წინ მიტინგზე 28 დეკემბერს, რომ „აღელვებული იყო და შეეშალა".

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არავითარი კავშირი არა პირადად მე, არც საქართველოს სახალხო ფრონტს გვარდიის მისვლასთან მთავრობის სახლის წინ და მის მოქმედებასთან არ გვაქვს, მე მიმაჩნია, რომ მასობრივი შეიარაღებული დაპირისპირება თანამემამულეებს შორის არ არის ის ზომა, რომელიც აუცილებელია, რათა ერთი პათოლოგიური და ამორალური პიროვნება მოვაცილოთ სახელმწიფოს მეთაურის სავარძელს.

ჩემს წერილში ამ თემაზე, რომელიც ქსეროქსით გამრავლდა და გავრცელდა, მკითხველისთვის გაუგებარი აღმოჩნდა ერთი ადგილი. განვმარტავ: სროლის დაწყების შესახებ მე არ მაქვს არავითარი ინფორმაცია გარდა ზეპირი ნაამბობისა, რომ პირველმა ცეცხლი ხელისუფლებამ გახსნა.

**29.12.91**

*

თბილისის მოსახლეობა ხედავს, რომ 22 დეკემბერს დაწყებული ძმათა სისხლისმღვრელი ბრძოლა კი არ წყდება, არამედ ფართოვდება მასში ახალ-ახალი ჯგუფები და შეიარაღებული პირები ებმებიან. იარაღი ბევრია. თუ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ სამაჩაბლოს გლეხები ცრემლით იხვეწებოდნენ, ერთი-ორი ავტომატი გვიშოვეთ ჩვენი სოფლის დასაცავადო და მათ ყველანი უარით ისტუმრებდნენ ხელისუფლების ჩათვლით, ახლა ავტომატები ასობითაა. არის მძიმე იარაღიც. საიდან? ვისგან? იარაღი იმიტომ გაჩნდა, რომ იმპერიულმა ძალებმა გაადვილეს საქართველოში იარაღის შემოტანა და მისი შოვნა სამხედრო ნაწილებიდან, გაიაფეს იგი და ხელმისაწვდომი გახადეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მტერი ცდილობს, ჩვენი შინაგანი ომი გააფართოვოს და გააგრძელოს, იგი მთელი საქართველოს მომავალ სამოქალაქო ომად აქციოს.

დღეს არც ერთ მხარეს არა აქვს გადამწყვეტი უპირატესობა, და არც ექნება ახლო ხანში. იმპერიული ძალები შეეცდებიან, რომ ორივე მხარეს ძალა დაახლოებით თანაბარი ჰქონდეს. მათ უნდათ, რომ საქართველო თვეობით და წლობით ჩაებას ძმათა შორის ომში.

ამავე დროს ვრცელდება ყაჩაღობა და მაროდიორობა. ვრცელდება ანტისანიტარია. ქვეყანას, რეალურად, მმართველი არ ჰყავს.

აუცილებელია:

1. მოსახლეობამ, საწარმოებმა, პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა არ დაუშვან კონფლიქტის გაფართოება. ამისათვის მათ გზა უნდა გადაუღობონ და კონფლიქტის ზონაში არ შეუშვან არც ერთი შეიარაღებული ადამიანი ან ჯგუფი.

2. მოსახლეობამ უნდა საკუთარ უბნებში ორგანიზაცია გაუკეთოს რაზმებს წესრიგის დაცვისათვის, სანიტარული დაცვისათვის და სხვა საჩქარო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

თავს ნუ მოვიტყუებთ: ჩვენს მდგომარეობას ჯერ კიდევ დიდწილად მართავს დაშლის გზაზე დამდგარი იმპერიის ბნელი ძალები, შევხედოთ ჩვენს დღევანდელ განსაცდელსაც როგორც იმპერიის ბატონობის ერთ-ერთ უკანასკნელ ეპიზოდს. ნუ შევუწყობთ ხელს მტერს ჩვენივე უგუნურებით.

**31.12.91**

*

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზ.გამსახურდიას

საქართველოს თავდაცვის მინისტრს ჯ.ფირცხალაიშვილს

მინისტრის მოადგილეს ნ.გიორგაძეს

მინისტრის მოადგილეს გ.ქუთათელაძეს

რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო ხელისუფლების პროპაგანდის მიხედვით, იგი მე მთვლის გვარდიის გამოსვლის ერთ-ერთ ხელისშემწყობად მაინც (რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის) და ერთ-ერთ ყველაზე საძულველ პიროვნებად ოპოზიციონერ დეპუტატთა შორის. ამავე დროს მაქვს ინფორმაცია, რომ მთავრობის სახლში იმყოფება 150-მდე ხაწვეული და გაუწვრთნელი ახალგაზრდა, რომლებსაც არ ჰსურთ ძმათა სისხლისღვრაში მონაწილეობა და გამოსვლას ითხოვენ, მაგრამ მათ არ უშვებენ შენობიდან, ვინაიდან უკვე მიღებული აქვთ ფიცი პრეზიდენტის წინაშე. თუ ეს მართალია, მაშინ გთავაზობთ:

თქვენ უშვებთ ამ ახალგაზრდებს შენობიდან.

მე შევდივარ და ვრჩები იმ დეპუტატებთან, რომლებიც შენობაში იმყოფებიან.

ჩემი მისამართი და ტელეფონებია: ყაზბეგის ქუჩა 17, საქართველოს სახალხო ფრონტი, 29-26-80, 29-32-84

**26.12.91**

*

დაბოლოს:

ჩემი განცხადებები და საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადებები 20 დეკემბრიდან დღემდე, რასაც ქსეროქსით ვამრავლებდი გაზეთის არარსებობის გამო, ახლა გამოქვეყნებულია ან ქვეყნდება გაზეთ „საქართველოში" და ყველას შეუძლია თვითონ გაეცნოს ჩვენს პოზიციას ამ ხნის მანძილზე. ახლა მოგახსენებთ ჩემს აზრს მხოლოდ დღევანდელ დღეზე და უახლოეს მომავალზე.

მე მხარს დავუჭერ მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც დაიცავს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, საქართველოს ტერიტორიულ ხელშეუხებლობას და საქართველოს სუვერენიტეტს საკუთარ ტერიტორიაზე.

მე მხარს დავუჭერ მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც წმინდად დაიცავს ადამიანის უფლებებს, მოქალაქის თავისუფლებას და ხელშეუხებლობას.

მე მხარს დავუჭერ მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც გარკვევით და საქვეყნოდ იტყვის, რომ საქართველოს არ შეიყვანს ე.წ. „ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" ან სხვა რამ სახის სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში, რომელიც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე იქნება.

მე მხარს დავუჭერ მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც დაუშვებს და რეალურად განახორციელებს ეკონომიკური წამოწყების თავისუფლებას საქართველოში და ამავე დროს თვალის ჩინივით გაუფრთხილდება ქართველი ერის ძირითად ეროვნულ საარსებო ბაზას- საქართველოს მიწას.

საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო: არც მე, არც საქართველოს სახალხო ფრონტს არ გვიდევს წილი საქართველოში 20 დეკემბრიდან მომხდარ პოლიტიკურ პროცესებში. ჩვენი პასუხისმგებლობა ამ პროცესზე იგივეა, რაც საქართველოს ყველა სხვა მოქალაქისა, რომელიც წინ ვერ აღუდგა ჩვენს ქვეყანაში ძმათა სისხლისმღვრელი ომის გაჩენას. შესაბამისად, არც მე,არც საქართველოს სახალხო ფრონტი არ ვმონაწილეობდით სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დაკომპლექტების პროცესში, რომელიც დღეს მიმდინარეობს.

რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მზად ვარ მხარი დავუჭირო არსებული ხელისუფლების ღონისძიებებს, მიმართულს მდგომარეობის სტაბილიზაციისაკენ და ცხოვრების ნორმალური აწყობისაკენ. მზად ვარ ყველა ფორმით ვითანამშრომლო ამ ღონისძიებებში და მოვუწოდებ ჩვენს ყველა თანამემამულეს, იგივე პოზიცია დაიჭიროს!

რედაქციისაგან: ბატონ ნოდარ ნათაძის დანარჩენი განცხადებები გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.

# სიტყვა ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერთ

### თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის

## განცხადება

საქართველოს თავისუფლების ოდნავ გამოდარებული ცა კვლავ შავი ღრუბლებით იფარება: ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლება დამხობილ იქნა ელიტარული ინტელიგენციისა და მაფიოზური ძალებისაგან შეკოწიწებული სამხედრო ხუნტის მიერ. დემოკრატიისათვის ბრძოლის ლოზუნგით საქართველოში მოხდა რეაქციული გადატრიალება, რომლის ჭეშმარიტი მიზანი, რასაც ახლად მოვლენილი დიქტატორები არც მალავენ, არის ქართველი ხალხის მიერ ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების ხელყოფა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაზე ხელის მოწერა და ამით საქართველოს კვლავ დამონება ტრანსფორმირებული იმპერიისადმი. თუ მათ ეს მოახერხეს, ძნელი სათქმელია, კიდევ რამდენ ხანს მოუწევს ქართველ ხალხს დამამცირებელ მონობაში ყოფნა, რაც სასიკვდილო ხიფათს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, თვით მის ფიზიკურ არსებობასაც კი, რამეთუ ერთხელ უკვე გამოვცადეთ სტალინის ბოლშევიკ ძმათა მიერ საქართველოსთვის მოძღვნილი სუვერენიტეტის მთელი „სიკეთე“. დღეს, სამწუხაროდ, 1921 წლის თებერვლის რეჟისურა შემოქმედებითად გააცოცხლეს ახალმა ორჯონიკიძე-მახარაძეებმა.

ქართველი ხალხის უმრავლესობის ნების უხეშად გათელვასთან ერთად დაითესა ბოროტების ძნელად ამოსაძირკვავი თესლი. ქართველ ხალხს მისცეს იმის გაკვეთილი, რომ ვილაცას ნებისმიერ დროს შეუძლია შეიარაღებული ძალით დაამხოს ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლება, თუკი სატანა ვინმეს გონებას დაუბნელებს. ამასთანავე, ჯარისკაცი, რომელმაც იარაღი მიმართა საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ ამჟამინდელი საინფორმაციო საშუალებებით ცხადდება გმირად, ხოლო მომხდარი გადატრიალება — „სახალხო აჯანყებად“ასეთი მორალის პროპაგანდა, თუ უკვე არ მიგვიყვანა, ძალიან მალე მიგვიყვანს იქამდე, რომ ქართველ ერს საკუთარი ჯარის არა თუ იმედი შეიძლება ჰქონდეს, არამედ უნდა ეშინოდეს კიდეც ამდენად, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ საქართველო ან კიდევ დაემონოს რუსეთს და ასე გახდეს იმპერიული კანონებით მცხოვრები პროვინცია ან გადაიქცეს ტიპიურ „ბანანის“ რესპუბლიკად, სადაც გაუთავებლად ხდება გადატრიალებები დიქტატორების კალეიდოსკოპიური ცვლილებებით. თუ როგორი დემოკრატია დაამყარა უკანონოდ და ძალადობით მოსულმა ხელისუფლებამ საქართველოში, კარგად ჩანს კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მიტინგების სისტემატიური დარბევითა და არნახული ხოცვა-ჟლეტვით. ყოველივე ამას თან ახლავს საინფორმაციო საშუალებათა საოცრად ერთსულოვანი მხარდაჭერა. დღემდე არც ერთ ქვეყანაში იარაღით, სისხლით და ნგრევით მოსულ მოძალადეებს დემოკრატია და სამართლიანობა არ დაუმყარებიათ. საწინააღმდეგოს მტკიცება მხოლოდ საბჭოთა იდეოლოგებს შეეძლოთ და მათ მემკვიდრეებს თუ შეუძლიათ.

ბუნებრივია ქართველი ხალხი ვერ ეგუება ასეთ დამცირებას, ეროვნული თავისუფლების ხელყოფის აშკარა ცდას. იგი უკმაყოფილებას გამოხატავს მშვიდობიანი პროტესტებით თბილისში და ჯერ-ჯერობით დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. ტყუილად ცდილობენ იმპერიული პროპაგანდიდან ნასესხები შტამპების გამოყენებით ეს ეროვნული მოძრაობა მონათლონ სეპარატიზმად, კუთხურობად. ავისმოსურნენი ვერ გათიშავენ საქართველოს, მის სხვადასხვა კუთხეს ერთმანეთს ვერ დაუპირისპირებენ, რადგან ხალხი ბრძენია და ყველაფერს კარგად ხედავს. ასე რომ, უსაფუძვლო ილუზიების შექმნა უკანონო ხელისუფლებას ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს.

როდესაც დეკემბრის 22-დან საქართველოს დაუდგა ტრაგიკული დღეები, ოპოზიციის იდეოლოგთაგან პრეზიდენტის მისამართით დაიძრა მოწოდებათა ნიაღვარი მისი გადადგომის მოთხოვნით, თითქოსდა შემდგომი სისხლისღვრის და ნგრევის თავიდან აცილების მიზნით. რესპუბლიკაში შექმნილი დღევანდელი სიტუაცია გვაიძულებს ანალოგიური მოწოდებებით მივმართოთ სამხედრო საბჭოსა და დროებით მთავრობას — ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე ძალაუფლება დაუბრუნონ კანონიერ პრეზიდენტსა და პარლამენტს.

მიგვაჩნია, რომ:

— პარლამენტმა, ეროვნული თანხმობის მიღწევის მიზნით, უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში (არაუგვიანეს ივნისისა) დანიშნოს ახალი არჩევნები, უზრუნველყოს ინფორმაციის საშუალებათა სრული თავისუფლება და ობიექტურობა;

— უზენაესმა საბჭომ გადარჩევნებამდე ჩაატაროს სისტემატიური კონსულტაციები ოპოზიციის ლიდერებთან;

— თბილისის დეკემბერ-იანვრის ტრაგედიის შედეგები ძიებისათვის გადაეცეს საერთაშორისო სპეციალურ საგამოძიებლო კომისიას, რომელიც ზუსტად დაადგენს როგორც ხელისუფლების, ისე სამხედრო გადატრიალების ინიციატორთა დანაშაულის წილს;

— რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოში სამი თვის ვადაში ჩაატაროს რეფერენდუმი ნდობის ვოტუმის დასადგენად. თუ, მისი მხარდამჭერთა რიცხვი იქნება 50 —ს მინუს ერთი ადამიანი, იგი უნდა გადადგეს. ამ შემთხვევაში დაინიშნოს ახალი საპრეზიდენტო არჩევნები;

— თ. სიგუამ და რესპუბლიკის დროებითმა პროკურორმა ვ. რაზმაძემ საჯაროდ ბოდიში მოიხადონ იმის გამო, რომ მათ ბრალი დასდეს ქართველ ერს სამაჩაბლოს ოსი მოსახლეობის გენოციდში და ამ კონფლიქტში მთელი პასუხისმგებლობა ქართველ ხალხს დააკისრეს. ფორმალურად, მათ ეს დანაშაული მხოლოდ ზ. გამსახურდიას დააბრალეს, მაგრამ ყველა ჭკუათმყოფელს ესმის, რომ ერთი კაცი, თუნდაც პრეზიდენტი, ასეთ დანაშაულს მარტო ვერ ჩაიდენდა და ამ დანაშაულს, თუ ის მართლა არსებობს, პირველ რიგში ინაწილებს და იღებს თავისთავზე მთელი ერი. ამდენად, ამ არნახული ცილისწამების ავტორებმა ან უნდა დაამტკიცონ ზუსტი ფაქტებით რასაც ბრძანებენ, ან პასუხი აგონ ერის წინაშე;

— სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოვლენილ და დასჯილ იქნენ საქართველოში 1992 წლის იანვარში მშვიდობიანი დემონსტრაციების იარაღით დარბევის, რასაც მრავალი ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ინიციატორები და შემსრულებლები, უახლოეს ვადებში;

— დროებითმა პრემიერმა უნდა ახსნას, თუ რის საფუძველზე გააუქმა საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის არმიის საოკუპაციო სტატუსი.

ამით ხომ არ თვლის, რომ დაგვაბრუნა იმპერიის შემადგენლობაში?

დასასრულ, ჩვენ ერთხელ კიდევ მოვუხმობთ ე.წ. სამხედრო საბჭოსა და უკანონო დროებით მთავრობას კეთილგონიერებისაკენ, რაც უნდა გამოიხატოს მათ დაუყოვნებლივ გადადგომაში და ძალაუფლების დაბრუნებაში კანონიერი ხელისუფლებისათვის. ამით მათ შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ არ არიან მომხრე საქართველოში გაუთავებელი სისხლისღვრისა და ნგრევისა, რომ არ არიან წინააღმდეგნი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა.

**164 ხელმოწერა.**

რედაქციისაგან:

პრესის თავისუფლება გულისხმობს, რომ მასში უნდა აისახოს საზოგადოებაში ასე თუ ისე „მიღებული“ ყოველი აზრი, შეხედულება.

სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე ვბეჭდავთ ზემოთ წარმოდგენილ განცხადებას.

მცირე კომენტარის სახით ვიტყვით: ძნელია, აზრი არა აქვს ისეთ ხალხთან კამათს, რომელთაც თურმე დღემდე „არ გაუგიათ“, რომ თბილისში სამხედრო წესები, კომენდანტის საათი მოქმედებს და შესაბამისად, აკრძალულია მიტინგები და დემონსტრაციები, რომ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა თენგიზ სიგუამ რამდენჯერმე ოფიციალურად უარყო „თანამეგობრობაში“ საქართველოს შესვლის განზრახვა; რომ „ოსების გენოციდის“ შესახებ თენგიზ სიგუამ და ვახტანგ რაზმაძემ კი არა, მხოლოდ ამ უკანასკნელმა განაცხადა; ხოლო ამ განცხადებას შემდეგ ოფიციალურად გაემიჯნა მთავრობა, ვ. რაზმაძემ კი ბოდიში მოიხადა; და ა.შ.

გვინდა ვიკითხოთ, ეს ხალხი, დღეს რომ ესოდენი რიხით გმობს „ხუნტას“, საინტერესოა, სად იყო მთელი „მრგვალი წელი“, მართლაც დიქტატორული რეჟიმის უამრავ დანაშაულობათა წინააღმდეგ რატომ ერთხელ მაიც არ ამოიღეს ხმა?!

---

# „რადგან თავია სიცრუე ...“

ნათქვამია, სიტყვა ჩიტივითაა, გაფრინდება, ველარ დაიჭერო.

გინდაც დაიჭირო, მანამდე, ვინ იცის, რამდენ გულს დაკოდავს ცუდად გაფრენილი (გასროლილი) სიტყვა, რამდენ გონებას არევს, რამდენ საქმეს წაახდენს...

თუ რამდენი საქმე წაახდინა საქართველოში, თუ რაოდენ წაახდინა საქართველოს საქმე მრავალმა ცუდად გაფრენილმა სიტყვამ გასულ წელს, ყველასათვის თუ არა, უმრავლესი ჩვენთაგანისათვის მაინც უნდა იყოს ნათელი.

დღეს ახალი ხელისუფლებაა საქართველოში, ახლებური ცხოვრება იწყება (უნდა დაიწყოს), წარსულს უნდა ჩაბარდეს ის, რითაც ასე მწარედ დაგვამახსოვრა თავი „მრგვალმა წელმა“ — მტრების, აგენტების, მოღალატეების გამუდმებული, გაფაციცებული ძებნა შინ თუ გარეთ; დემაგოგია, დილეტანტიზმი, არაკომპეტენტურობა, არაპროფესიონალიზმი, ქვეყნის მართვის ყველა სფეროში ასე. ძალუმად რომ იყო გაბატონებული; სიცრუეზე, ტყუილზე აგებული პოლიტიკა...

მკითხველს შევახსენებ იმ მძაფრ რეაქციას, ამ რამდენიმე დღის წინ თბილისში (და არ მარტო თბილისში) რომ გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ზუგდიდში გამართულ მიტინგზე ზვიად გამსახურდიამ სამეგრელო-აფხაზეთის სახელმწიფოს შექმნისა და აღმოსავლეთ საქართველოზე, თბილისზე გალაშქრებისკენ მოუწოდაო...

ეს ცნობა (რუსეთის საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით) გადასცა საქართველოს ტელევიზიამ.

შემდეგ ისევ ტელევიზიით, ჟურნალისტ მერაბ ბერაძესთან საუბრისას ამ ცნობის სიზუსტე დაადასტურა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა თენგიზ სიგუამ. ამასთან, დაიმოწმა ადამიანები, რომლებიც „ესწრებოდნენ მიტინგს“.

გასაგებია ის სამართლიანი აღშფოთება, ამგვარი ინფორმაციის მიღების შემდეგ რომ დაეუფლა საზოგადოების ფართო ფენებს. რადიოთი, ტელევიზიით უხვად გადაიცემოდა ამ აღშფოთების გამომხატველი გამოსვლები... ერთი სიტყვით, დიდი ქარიშხალი დატრიალდა.

და რა? აღმოჩნდა, რომ ეს ყოფილა „ქარიშხალი ჭიქა წყალში“.

18 იანვარს ტელევიზიით გადაიცა ბატონ თენგიზ სიგუას მიერ იმავე დღეს გამართული პრეს-კონფერენციის ვიდეოჩანაწერი.

და აი, ბატონმა თენგიზ სიგუამ ჟურნალისტებს (და მთელ საქართველოს) განუცხადა, რომ თურმე ზუგდიდის მიტინგზე ბატონი ზვიად გამსახურდია აღნიშნული მოწოდებებით არ გამოსულა, საერთოდ არ გამოსულა სიტყვით, და საერთოდ, ამ უკანასკნელის ასავალ-დასავალიც არ ვიცით, ზუგდიდშია, სოხუმში თუ გროზნოში, გაურკვეველიაო...

რა გამოვიდა?

ისედაც უკიდურესად დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, კიდევ უფრო „აირია მონასტერი“, გაჩნდა ახალი, „ლაშქრული“ ფაქტორი...

და ეს მოხდა „გაფრენილი სიტყვის“ გამო.

და რაოდენ სამწუხაროა, რომ მას შემდეგ, როცა აღმოჩნდა, რომ ის არსათქმელი მოწოდებები მართლაც არ თქმულა ზუგდიდში, არც რადიო-ტელევიზია, არც ბატონი პრემიერ-მინისტრი საჭიროდ არ მიიჩნევენ დაშვებული კაზუსის გამო განმარტება მისცენ საზოგადოებას.

მით უფრო დასანანი და გასაკვირია ეს კაზუსი, რომ იგი შეემთხვა სწორედ ბატონ თენგიზ სიგუას, პიროვნებას, რომელიც ამდენს ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის. ხოლო თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ბატონი თენგიზისა თუ ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა ყოველ სიტყვას არა მარტო კეთილისმოსურნენი, არამედ ბევრი ჩასაფრებული მტერ-მოყვარეც გაფაციცებით უგდებს ყურს, რათა შემდეგ „ხელზე დაიხვიონ“, ნათელი გახდება, რომ მეტი ყურადღებაა საჭირო.

ზემოთ რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ვახსენე.

ჩვენი ტელევიზია რუსეთის ტელევიზიის მიერ საქართველოს შესახებ გადაცემულ ინფორმაციებს ასე ხშირად რომ იმეორებს, თავისთავად ცუდი ამაში, რასაკვირველია, არაფერია.

ცუდი ისაა, ასე ეჭვშეუტანლად რომ ეყრდნობა მათ, ასე უკომენტაროდ, ასე შეუმოწმებლად რომ იმეორებს მათ, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, იგივე ზვიად გამსახურდიას „ზუგდიდურ მოწოდებებთან“ დაკავშირებით.

და საერთოდ, როდის გახდა რუსული ტელევიზია ისეთი არატენდენციური, ობიექტური, ქართველთა და საქართველოს გულშემატკივარი, ასე ბრმად რომ შეიძლებოდეს მათზე დაყრდნობა?!

მათ ხომ ის აძლევთ ხელს, იმისათვის იღწვიან, რომ კიდევ უფრო აიმღვრეს წყალი (და სისხლი) საქართველოში?! რატომ ვუსხამთ აღნიშნული ნდობით წისქვილზე წყალს? (სხვათა შორის, რატომღაც დღემდე უპასუხოდ რჩება ამას წინათ რუსეთის ტელევიზიის მიერ გადაცემული მორიგი პროვოკაციული „ცნობა“ იმის შესახებ, თითქოს საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრს ბატონ თენგიზ კიტოვანს განეცხადებინოს, რომ გაუქმდა რამდენიმე ხნის წინ საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყოფილი საბჭოთა ჯარებისათვის მინიჭებული საოკუპაციო არმიის სტატუსი).

და საერთოდ, ნუთუ უხერხული არაა, როცა ზუგდიდში, მთლიანად დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მხოლოდ რუსული თუ ევროპული ქვეყნების სააგენტოების მიერ გავრცელებული ცნობებით გვესაუბრება ჩვენი ტელევიზია?!

რითაც დავიწყე, იმითვე უნდა დავამთავრო!

სიტყვა ჩიტივითაა, გაფრინდება, ველარ დაიჭერ...

ამიტომ, დასაჭერად არ უნდა ვიხდიდეთ საქმეს...

მესმის თუ რა ძნელ პირობებში მუშაობს ჩვენი ტელევიზია. მისი ამჟამინდელი მუშაკების შემართებაც დასაფასებელია. მაგრამ შეცდომები, რომლის თავიდან აცილება იოლად შეიძლება, არ უნდა გავიმეოროთ.

ფელიქს კოჭიაშვილი

**20 იანვარი, 1992 წ.**

---

ასეთი მოსაზრება გამოთქვა თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავკაცმა, ბატონმა გიორგი ჭანტურიამ , რითაც ერთგვარად გააფრთხილა საზოგადოების მერყევი ნაწილი, ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადაშვებულიყო.

სამწუხაროდ , ხალხის საკმაოდ დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული ამ პოტენციური სენის საშიშროება: ზვიადიზმი (იგივე ბონაპარტიზმი, სტალინიზმი) მას წარმოუდგენია უწყინარ საყმაწვილო სენად , ხოლო ანტიზვიადიზმი — მისგან განკურნების უებარ საშუალებად.

ამ ბოლო დროს ორივე დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენლებისაგან გახშირდა ურთიერთტელებრალდებები, დაუფიქრებელი განცხადებები და აპოლოგეტური წერილები. გამომსვლელები თავს არიდებენ დინჯ და საქმიან მსჯელობას და „ეფექტური“ მონოლოგებით ცდილობენ თავის გამოჩენას.

მრავალთაგან ერთი სატელევიზიო (ტელევიზიაზე ყურადღებას მხოლოდ იმიტომ ვამახვილებ, რომ მას შეუდარებლად უფრო დიდი აუდიტორია ჰყავს) გამოსვლაზე მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას.

ორიოდე დღის წინ ტელევიზიით გამობრძანდა ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენი (ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ), რომელმაც ილაპარაკა იმ განუკითხაობაზე, რასაც პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობისას ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდა საქართველოს [illegible] ლაფერში და ყველაზე მეტად დაიდანაშაულა ქალაქ თბილისის ყოფილი მერი, ბატონი თამაზ ვაშაძე, რომელსაც სიტყვასიტყვით უწოდა „სულელი“, „უვიცი“, „უჭკუო“, „თავხედი“ კაცი.

შეიძლება გაუგო ადამიანს, ვისაც უგულოდ და უსამართლოდ მოექცნენ, დაუხურეს თვით კომუნისტების დროს ოფლითა და ტანჯვით შექმნილი საწარმო, რომელიც ნარჩენებზე მუშაობდა და მნიშნელოვან მოგებას აძლევდა რესპუბლიკას, მაგრამ რაც უნდა ბოღმა და ბრაზი გიდუღდეს გულში კაცს, მთელი ქვეყნის გასაგონად მტერსაც არ უნდა აკადრო ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვები. მე, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ ბატონ თამაზ ვაშაძის დაცვას ან მისი საქმიანობის შეფასებას. მისი პიროვნება და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ალბათ კიდეც იმსახურებს მკაცრ იურიდიულ და მორალურ ფორმულირებებს, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ზემოხსენებულ გამომსვლელს არანაირი მორალური უფლება არ ჰქონდა საქვეყნოდ გაელანძღა ადამიანი და ეწოდებინა , რაც უწოდა. მით უფრო მაშინ, როცა მავანი მოუთმენლად ელის ისეთი რამ მოისმინოს ან წაიკითხოს, რაც შემდეგ საპროტესტო და სამიტინგო მიზეზს მისცემს.

# „ანტიზვიადიზმი ისეთივე სენია, როგორც ზვიადიზმი“

დღეს ყველა ვალდებული ვართ, ვერიდოთ და სხვებიც ავარიდოთ დაუფიქრებელ სიტყვებს, ურთიერთბრალდებებს, სიცრუესა და ცილისწამებას, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ასპარეზი კვლავ შურს, სიძულვილს და უზნეობის დიქტატურას დარჩება.

კობა ლიკლიკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უბედურება გარდაუვალი იყო...

## (ინტერვიუ ქალბატონ ნაირა გელაშვილთან)

— როგორ შეაფასებთ დეკემბერ-იანვრის მოვლენებს? გარდაუვალი აუცილებლობა იყო სისხლიანი ფინალი, თუ?..

— თბილისის გულში რომ ომი [illegible]ლდა, რამდენიმე ნაცნობმა და[illegible]კა და მითხრა, რა იცოდი, შარშან არჩევნებში ზ. გამსახურდიას გამარჯვების შემდეგ რომ ამბობდი, საქართველოში სისხლის ზღვა დადგებაო. აღარც მახსოვდა და ასე მითქვამს რამდენიმე ადგილას იმ ხანებში. ჰოდა, მე რომ ვიცოდი ეგ კი არ არის გასაკვირი (რადგან ამ აზრის იყო თითქმის ყველა, ვინც პირადად კარგად იცნობდა ზ. გამსახურდიას და მის პიროვნულ თვისებებზე მრავალი წლის განმავლობაში ჰქონდა ნაფიქრი, მოსკოვმა რომ იგივე იცოდა, აი, ეს არის საკვირველი. გახსოვთ ალბათ ცენტრალურმა ტელევიზიამ რომ გამოაცხადა მაშინ, გამსახურდიას არჩევით ქართველმა ხა[illegible] სამოქალაქო ომის გზა აირჩიაო! ას[illegible] კარგად როგორ ჰყავდათ ეს კაცი შესწავლილი — იქ, „ცენტრში"? (და აქ არ შეიძლება არ გავახსენდეს, რა უზარმაზარი როლი შეასრულა კომუნისტურმა პარტიამ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ რეანიმაციაში. თუნდაც მის წინააღმდეგ მოულოდნელად წამოწყებული ლანძღვა-გინების კამპანიის წყალობით, რომელმაც საზოგადოების მიერ გადაფასებული და სრულიად დავიწყებული პიროვნება უცბად დევნილად, წამებულად და გმირად აქცია. ეჰ, რამდენი რამ იყო უცნაური. თუნდაც ის, სახალხო ფრონტის საინიციატივო ჯგუფში გამსახურდიას კანდიდატურა ნუგზარ ფოფხაძემ რომ დაასახელა. ჩემთვის სრულიად მიუღებელია ვინმეს „კრემლის აგენტი" ვუწოდო. ამით ხომ საყოველთაო ცილისწამებას გავუხსნით გზას. და ამას ჩემთვის არც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უკეთური კაცი დიდ ძალას რომ ჩაიგდებს ხელში, ზუსტად იმას დამართებს თავის ქვეყანას, რაც მტერს უნდა.

ასე რომ, დარწმუნებული ვიყავი, უბედურება გარდაუვალი იყო. მას შემდეგ რაც უკვე ჩამოყალიბდა ბელადის კულტი, რომელმაც ღრმად გადიდგა ფეხი უმეტესობაში, მას შემდეგ, რაც მოხდა მთელი ძალაუფლების კონცენტრაცია გამსახურდიას ხელში და მთელი საქართველო მისი მხარდამჭერების ქსელში აღმოჩნდა, მას შემდეგ რაც ოპოზიციას წაერთვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და დარჩა მხოლოდ სამი გაზეთი, რომლებიც რაიონებამდე თითქმის ვერ აღწევდნენ და არსებითად, ვერ უწევდნენ წინააღმდეგობას ყოველდღიურად მომდინარე დიქტატორული იდეოლოგიის უმძლავრეს ნაკადს, მას შემდეგ რაც ხელისუფლება გადავიდა ძალ[illegible]ობაზე მშვიდობიანი პოლიტიკურ[illegible] აქციების მიმართ, ხოლო საპარლამენტო ოპოზიცია ფაქტიურად განიარაღებული აღმოჩნდა „მრგვალ" დეპუტატთა უმრავლესობის შეუვალი კედლის წინაშე — ჩემის აზრით, მშვიდობიანი ბრძოლის ყველა გზა მოჭრილი იყო. 2 სექტემბრის შემდეგ, როცა ხელისუფლებამ ყოველნაირი გაფრთხილების გარეშე მშვიდობიან მიტინგს ცეცხლი გაუხსნა, მისმა ძალადობამ სულ უფრო მზარდი ხასიათი მიიღო. და ეს უფრო მრავლისმეტყველი და საგანგაშო იმიტომ იყო, რომ 2 სექტემბრის შემდეგ თ. კიტოვანის არმიამ განაცხადა, რომ იგი დაიცავდა მშვიდობიან მოსახლეობას შეიარაღებული აგრესიისაგან. ამ განცხადების შემდეგ ხელისუფლების მიერ ძალადობის გაძლიერება აშკარა გამოწვევას ნიშნავდა. ცხადი გახდა, რომ გამსახურდიას აპარატს სურდა ეროვნული გვარდია შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაეთრია და ხელსაყრელ მომენტში მოეხდინა მისი ფიზიკური ლიკვიდაცია, (ალბათ ჯარის დახმარებითაც), როგორც მოიქცა „მხედრიონის" მიმართ, როცა შავნაბადაზე მძინარე ადამიანებს რუსის ჯარი დაასხა თავს. რა თქმა უნდა, გვარდიის განადგურების შემდეგ, იგი უკვე მშვიდად განახორციელებდა რეპრესიებს მთელი ოპოზიციის მიმართ. ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ როცა ყოფილმა ხელისუფლებამ კიტოვანის გვარდია ქალაქში შემოიტყუა, იძულებული გახადა რა იგი დაეცვა ტელევიზიის წინ მიმდინარე მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილენი, მან მაშინვე განავითარა „პუტჩის" თეორია, თუმცა გვარდია ტელევიზიის შენობასთან უძრავად იდგა და მხოლოდ იცავდა უიარაღო აქციას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გამსახურდიამ ჩაშალა ყველა მოლაპარაკება კიტოვანის გვარდიასთან, რომელიც მაშინ ყოვლად უწყინარ მოთხოვნებს აყენებდა: ითხოვდა მისთვის მიეცათ ოფიციალური სტატუსი და გაეთავისუფლებინათ პრესა, რადიო, ტელევიზია ხელისუფლების დიქტატისაგან. თ.კიტოვანის გვარდიას მთავრობის სასახლის აღება იმთავითვე რომ ჰქონოდა გადაწყვეტილი, ამას გააკეთებდა მისთვის უფრო ხელსაყრელ მომენტში, თუნდაც მაშინვე. 2 სექტემბრის შემდეგ, ვიდრე გამსახურდიას აპარატი შეიარაღებული ძალებისა და ათასობით მხარდამჭერის მობილიზებას მოასწრებდა. მაშინ ალბათ გაცილებით ნაკლები სისხლი დაიღვრებოდა. მაგრამ, საქმეც ის გახლავთ, რომ გვარდიას პუტჩი კი არ ჰქონდა დასახული მიზნად, არამედ ის, რომ უფრო დემოკრატიული გაეხადა გამსახურდიას მმართველობის სტილი და საკუთარი თავისთვისაც ოფიციალური სტატუსი და პრეზიდენტისაგან თავდაუსხმელობის გარანტიები გაენაღდებინა. განსხვავებით პოლიტიკური ოპოზიციისაგან, ის პრეზიდენტის გადადგომას არც მოითხოვდა.

სწორედ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოების დიდი ნაწილისა და სტუდენტობის მოთხოვნამ — გადამდგარიყო პრეზიდენტი — რაც მათ 2 სექტემბრის შემდეგ წამოაყენეს, უკიდურესად გაამძაფრა ვითარება, გამოიწვია პრეზიდენტის მხარდამჭერთა ორგანიზებული აგრესია და აბობოქრება, და საბოლოოოდ გაამძვინვარა ხელისუფლება, რომელმაც უკვე მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი თავიდან მოეშორებინა. ჩემის აზრით, ვითარების საბოლოო ამფეთქებელ ნაღმად იქცა სწორედ პოლიტიკურ პარტიათა ეს რადიკალური მოთხოვნა. რამდენად სწორი იყო იმ ეტაპზე ამ მოთხოვნის წამოყენება — ეს განსჯის საგანია. რადგან კიდევ ვიმეორებ, ჩემის აზრით, ამ მოთხოვნის წამოყენებამ განსაზღვრა ვითარების მთელი შემდგომი ესკალაცია, რის შედეგადაც გვარდია ჩათრეული აღმოჩნდა კონფლიქტში. ამ მოთხოვნას მეც ვუერთდებოდი, თუმცა მაშინვე შინაგანად მთლად ვერ ვეთანხმებოდი, რადგან ნაადრევი მეჩვენებოდა: ვფიქრობდი, რომ რაკი პრეზიდენტის კულტი უკვე ჩამოყალიბებული იყო და მძლავრად ჰქონდა ფესვი გადგმული მასების ქვეცნობიერებაში, საჭირო იყო გარკვეული დროის გასვლა, რათა ეს აღტკინება-აღგზნება რამენაირად დამცხრალიყო, ხალხს მოსწყინებოდა მარტო ლოზუნგებითა და პრეზიდენტისადმი ტრფიალით ცხოვრება და თავისი დუხჭირი ცხოვრების მიზეზებს ჩაფიქრებოდა. პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა კი კულტის მაგიური მოქმედების, მასიური მონუსხვის ზენიტს დაემთხვა... და ააფეთქა. 2 სექტემბრის დანაშაული — როცა ხელისუფლებამ პირველად დაღვარა თავისი მოქალაქეების სისხლი — მასების მხოლოდ მცირე ნაწილს მისწვდა, ისიც არსებითად თბილისში, და კიდევ უფრო მცირე ნაწილი გამოაფხიზლა. სწორედ ამ „მკრეხელური" მოთხოვნით გაავთრებულმა, რაიონებიდან დარაზმულად ჩამოყვანილმა ხალხმა გაუგონარი „ხალისით", მზადყოფნითა და ენთუზიაზმით გადაქელა და გადაჯეგა ი.წერეთლის აქციის მონაწილენი 22 სექტემბრის ღამით, როცა ათი ათასამდე ადამიანმა ასამდე კაცი დაფლითა და დაჩეჩქვა. სხვათა შორის, 22 სექტემბრის ეს ბარბაროსობა — რომელსაც პრეზიდენტმა და მისი ნების მხურვალე აღმსრულებლებმა უწოდეს „რუსთაველის პროსპექტის გაწმენდა ნაგვისაგან". — უნიკალური, ალბათ უპრეცენდენტო რამ გახლავთ. თუ სამხედრო ნაწილების შეტაკებაში არიან მეომრები, სამოქალაქო შეტაკებაში არიან მკვლელები და ბოროტმოქმედნი. პრეზიდენტმა რაღაც ნახევარ საათში ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები აქცია მკვლელებად, სისხლის სამართლის დამნაშავეებად. ჰკუიდან გადასულ მასას წინ მიუძღვოდნენ „მრგვალი" დეპუტატები და გადაცმული ომონელები. ისინი არა მარტო მხეცურად გაუსწორდნენ ერთ მუჭა ახალგაზრდობას, არა მარტო დაამტვრიეს და დაასახიჩრეს ისინი, არამედ ცდილობდნენ მათთვის ადამიანური ღირსება აეყარათ. იყო ქალების გაუპატიურების ცდები. ერთი მანიფესტანტი მოგვიანებით გარდაიცვალა. ეს, რაც ვიცით. ამ ოპერაციის გმირულად განხორციელების შემდეგ პრეზიდენტმა „მებრძოლ" ქალებს (დედებს, ბებიებს, ქალიშვილებს) და კაცებს (მამებს, პაპებს, შვილებს) მიულოცა მტერზე დიდებული გამარჯვება და ეს გამარჯვება ლაღი და ბედნიერი ტაშფანდურით აღნიშნა მთავრობის სასახლის წინ. 22 სექტემბერს „ბრწყინვალედ" დაგვირგვინდა ყოფილი პრეზიდენტის განუხრელი კურსი, რასაც ის თავისი პოლიტიკური კარიერის პირველ დღეებიდანვე მეთოდურად ახორციელებდა — „ხალხის გადაქცევა ბრბოდ"(როგორც ამას ადრევე უწოდა გ.ჭანტურიამ). მან უკვე აშკარად გამოაბრწყინა თავისი მრავალი შემზარავი სახიდან ერთ-ერთი უმთავრესი: რომ ის იყო ლინჩის ხელისუფლება, რომელმაც თავისი ძალაუფლება დააყრდნო არა მხოლოდ „ომონს" გვარდიას, მილიციას, სუკს და საჭიროების შემთხვევაში, — რუსის ჯარს, — არამედ, არსებითად ხალხს, რომელიც მან დამსჯელ რაზმად აქცია. ეს ხომ განსაკუთრებით ხელსაყრელი რამ იყო: აი, ბატონო, ხალხი თვითონ გამოხატავს თავის „წმინდა" ნებას, თავად უსწორდება სამშობლოს მოღალატეებს,... და ა. შ. ნაცვლად იმისა, რომ მას — ერთ-ერთ ყველაზე ნაკითხ და ერუდირებულ პრეზიდენტს მსოფლიოში — გამოეყენებინა თავისი უსაზღვრო გავლენა ხალხზე და მის ნამდვილ განმანათლებლად ქცეულიყო, თავის დაბეჩავებულ ხალხში ადამიანური ღირსება გაეღვიძებინა და იგი სიკეთისკენ მიექცია, გაეღვიძებინა მასში პატიოსანი, თავდადებული შრომის წმინდა ხალისი, — მან უსაქმურობისა და სისასტიკის ჯურღმულში ჩაჩეხა იგი და საოცარი მარტოობა მიუსაჯა: ბრბოს სიცარიელე, სევდა და მარტოობა.

კიდევ ვიმეორებ, ჩემის აზრით სიტუაციის საბოლოო დეტონატორი აღმოჩნდა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა, რომელიც იმიტომ მეჩვენებოდა ნაადრევად, რომ ის მასების ფსიქიკას[illegible]შად ააფეთქებდა. ჰ. იბსენი ამბობ[illegible]ავისუფლებისა და დემოკრატიის უპირველესი მტერი არის კომპაქტური უმრავლესობა". აი, ეს „კომპაქტურობა" ანუ პარლამენტისა თუ მასის შეგნებული თუ ინსტიქტური ერთიანობა რაღაც საერთო ინტერესის ირგვლივ მაშინ ე. ი. სექტემბერში ჯერ კიდევ ძლიერი იყო... ამის შემდეგ მოვლენების შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდა, რადგან როგორც იტყვიან ხოლმე, ხელისუფლებამ მთლად „აიწყვიტა..." და ჩემის ღრმა რწმენით მას ვერავითარი ძალა ვეღარ გააჩერებდა კიტოვანის გვარდიის მეტი, რომელიც, ვიმეორებ, კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდა... აბა, მითხარით, პრეზიდენტი რომ მგზავრებით ავსებულ თვითმფრინავს, სადაც უამრავი ბავშვი, ქალი და უცხოელი ჟურნალისტია, ჰაერში თავის ჭკუაზე დაატრიალებს და ასაფეთქებლად წირავს (როგორც ეს ლოგიკურად დაასაბუთა „ჰელსინკი 91"-ის წარმომადგენელმა), რათა თავისი პოლიტიკური ოპონენტი — თვითმფრინავში მყოფი გიორგი ჭანტურია თან თავიდან მოიშოროს და თან მას დააბრალოს მერე თვითმფრინავის აფეთქება, — ის ხელისუფლება რაიმესგან თავს შეიკავებს? იმას ვინმე შეაჩერებს კიდევ?

ასე რომ, მე ვერ ვხედავ, ბრძოლის რა მშვიდობიანი გზა არსებობდა კიდევ... საპარლამენტო? როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს გზა ფაქტიურად მოჭრილი იყო... ოპოზიციონერ დეპუტატებს სულ რომ ვენები გადაეჭრათ, ვერაფერს ვერ გაიტანდნენ პარლამენტში პრეზიდენტის მხარდამჭერ დეპუტატთა შედუღაბებული უმრავლესობის წინააღმდეგ... გარდა ამისა ისინი ხომ სრულიად ძლეულნი იყვნენ პრეზიდენტისათვის „მებრძოლ" ქალთა მიერ! დაცვის გარეშე პარლამენტში ვერ შედიოდნენ და ვერ გამოდიოდნენ. გარეთ თმასა და ტანსაცმელს აგლეჯდნენ, და უკაცრავად და, ბეგვავდნენ კიდეც. ეს იყო ყოვლად პათოლოგიური სიტუაცია. პერსპექტივა? — მტერს და ავს! პერსპექტივა ისეთი გახლდათ, რომ ხმამაღლა ვერც იტყვი. რასაც ამორძალთა ლაშქარი დეპუტატებს, განსაკუთრებით კი ზოგიერთ მათგანს უპირებდა, იმისი პროგრამა-მინიმუმის ორი მუხლი გახლდათ ცნობილი — თავზე „კოლკოტკების" ჩამოცმა და ქვედასამოსისგან განძარცვა! საჯაროდ, დღისით, მზისით! კოლკოტკებიც თან დაჰქონდათ და სხვაც, კიდევ უფრო სკანდალური ინსტრუმენტებიც. დიდი ბოდიში, ბატონებო, მაგრამ მამაკაცური ღირსების ფასად გაკეთებული საქმისა მე არ მჯერა! რადგან სავალალოდ, ასეთნაირად ღირსებაშელახული ადამიანი თავის მომხრეთა პატივისცემასაც კარგავს, რაკი მსგავსი უმგავსობანი ტრაგიკულიც კი არა კომიკურის ჟანრში ექცევიან. ბნელი კომიკურობაც ხომ არსებობს. თან, ბოლოს რომელიმე დეპუტატს თავისი ზებუნებრივი მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა, რომელიმე „ეროვნულ ქალს" ხელით შეეხებოდა და ციხეში ამოჰყოფდა თავს. გარდა ამისა ზოგ დეპუტატზე უკვე სხვაგვარი, უფრო „მამაკაცური" ნადირობაც გაჩაღდა, ჯერ ხომ მანქანები აუფეთქეს, მერე ერთ მათგანს მანქანაც დააჯახეს. და ახლა, ერთხელაც უფრო მოხერხებულად დააჯახებდნენ და მერე ალბათ განაცხადებდნენ რომ პროვოკატორი დეპუტატი თვითონ დაეჯახა მანქანას მისი განადგურების მიზნით!

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, მათ ლიდერებს 16 სექტემბრიდან მოკიდებული ნელ-ნელა ციხეებში ათავსებდნენ,. ხელისუფლება, რომელმაც 2 სექტემბრის შემდეგ უკვე ხელი ჩაიქნია ევროპაზე და მსოფლიოზე და ბუნკერული საქართველოს შექმნა განიზრახა, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, ასე გაუსწორდებოდა ყველა პარტიას. მათ შტაბებსაც ისე დაარბევდა და გაძარცვავდა, როგორც ედპ — სა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შტაბ-ბინები დაარბია. ხოლო ციხეში ვის რა ბედი ეწეოდა, ეშმაკმა უწყის. გაიხსენეთ ის შემზარავი პროვოკაცია, რომელიც ორთაჭალის ციხეში მოაწყვეს, სადაც გიორგი ჭანტურია და გიორგი ხაინდრავა იმყოფებოდნენ.

რა შეეძლო დდს-ის მოძრაობას, რომლის მიზანი მოსახლეობაში დემოკრატიული ცნობიერების გაღვიძება იყო და არის? მაშასადამე, ევოლუციის ხანგრძლივ გზას გულისხმობს? მისმა წევრებმა: დეპუტატებმა, პოლიტიკური პარტიების წევრებმა და ინტელიგენციის წამომადგენლებმა საქართველოს რაიონებს მიაშურეს, რათა დეზინფორმაციის ტყვეობაში მყოფი ხალხისთვის ხმა მიეწვდინათ, აეხსნათ მისთვის, რომ ხელისუფლების მავნე კურსი საქართველოს ღუპავდა, მაშასადამე, ხალხი დაერაზმათ და ჩაერთოთ საპროტესტო, დემოკრატიულ მოძრაობაში. კი, ეს აუცილებელი და სწორი გზაა, თავისთავად. მაგრამ იმ ვითარებაში ეს უკვე დაგვიანებული იყო. ეს მაშინ უნდა გაკეთებულიყო, როცა ამას თავად გამსახურდია აკეთებდა 1989-1990 წლებში. ახლა კი პრეფექტურებისა და მთელი ადმინისტრაციული ობო-

ბას ქსელში გამაგრული ქვეყნის, პოლიტიკური კატაკლიზმებით გადაღლილი ხალხის ხელმეორედ გამოფხიზლება და ისევ ბრძოლისთვის ორგანიზება ათჯერ მეტ დროსა და ენერგიას ითხოვდა. ხვალ-ზეგ ამის საშუალებასაც მოუსპობდა ხელისუფლება. და გარდა ამისა, და რაც მთავარია, ეს ხანგრძლივი გზა უკვე აღარ შეესაბამებოდა მოვლენათა კატასტროფულად აჩქარებულ ტემპს, როგორც საქართველოში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირში. ყოფილი სამხრეთ ოსეთი ქართველებისგან იცლებოდა და საერთოდ იქ რა მზაკვრული პოლიტიკა თამაშდებოდა, აღარავინ იცოდა, ეკონომიკა უფსკრულში მიექანებოდა, საქართველო ჩამოსწყდა მსოფლიოს, რომელმაც მასზე ხელი ჩაიქნია და ყველაზე უიმედო და ველურ ფენომენთა რიგს მიაკუთვნა; გაიყინა სულიერი ცხოვრება, ჩაკვდა კულტურა, ფსიქოლოგიური სტრესის გამო აზრობრივი და შემოქმედებითი ყოფა მოიშთო, საზოგადოების ყველაზე სულიერი, ყველაზე მგრძნობიარე ადამიანები, პიროვნებები ღრმა დეპრესიამ შეიპყრო. ბევრი მათგანი ფიზიკურად ველარ უძლებდა ამ პათოლოგიურ სინამდვილეს, ყოველწამიერ ფსიქოლოგიურ რეპრესიას და უბრალოდ, კვდებოდა. (გაზეთებს არ წაიკითხავს კაცი, მაგრამ ვერ გამორთავს მეზობლების რადიოს და ტელევიზორს... ცინიზმის, ცილისწამების, ლანძღვა-გინების, შეჩვენების ყოველწუთიერი ნაკადი მგრძნობიარე ადამიანთა სულს შლიდა, წამლავდა, შხამავდა)... ბრძოლის ეს ნელი, ევოლუციური გზა აღარ შეესაბამებოდა კერძო ინდივიდების, ყველაზე მგრძნობიარე პიროვნებების გაუსაძლის შინაგან მდგომარეობას. სხვა არის პოლიტიკური პარტიების წევრთა სულიერი გამძლეობა და სხვა ცალკეული პიროვნებებისა. კოლექტიური ბრძოლა, კოლექტიური ყოფა, ყოველდღიური ერთად ყოფნა, საბრძოლო მოძრაობაში ჩართულობა, მანევრირების უნარი — მათ იცავს იმ უზომო ფსიქიური ტრამვებისაგან, (თუმცა ფიზიკური დარტყმა სწორედ მათზე მოდის), რაც ემართება ცალკეულ პიროვნებას, რომელიც თავის ბუნებრივ მარტოობაში მთელი თავისი არსებით, სულიერი კაპილარებისთ, უღრმავდება მთელს საშინელებას. ასე გაუსკდა გული მერაბ მამარდაშვილს, ასე ჩაექცა ტვინში სისხლი ჩემს მეგობარ ქალს, უგონიერეს და უფაქიზეს პიროვნებას. და როცა ჩემმა კიდევ ერთმა მეგობარმა, ახალგაზრდა ქალმა, უნიჭიერესმა და საოცრად ღრმა ადამიანმა შემომჩივლა: ვგრძნობ, რომ ველარ ვუძლებ ამ საშინელებას, სულის უჯრედები მეშლებაო — დავინახე, რომ ცოტა ხანში მოიცლებოდნენ ყველაზე სათუთი და მგრძნობიარე პიროვნებები... ისინი, ვინც ქმნიან სულიერ კულტურას, სულიერ ველს,... ამ ველის ყველაზე გამჭირვალე ფენებს... და მაშინ ვთქვი: აი, თურმე რა ყოფილა დიქტატურა! უჯრედების დაშლა.

კი ამბობს ქართული ანდაზა „სიბრძნე სჯობნის სიბრიყვესა უთოფოდ და უზარბაზნოდ"-ო, მაგრამ რასთანაც ჩვენ საქმე გვქონდა, ეს სიბრიყვე კი არა სიგიჟე იყო, (რომელსაც, სხვათაშორის, უდიდესი ეშმაკობა და მზაკვრობაც ახასიათებს ხოლმე...) და მასთან მშვიდობიანი ბრძოლის ყველა გზა თვითონვე გადაჭრა...

მე მთელი არსებით შევიგრძენი სახარების ჭეშმარიტება „წინ არ აღუდგეთ ბოროტსა", რისთვისაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება დამჭირდა, რათა გულითაც მეღიარებინა იგი და არა მარტო გონებით. მაგრამ ეს პიროვნული მორალია მხოლოდ, რომელიც, უპირველესად, უშუალოდ შენს წინააღმდეგ მომართულ ბოროტებას ეხება. ჩემი ბავშვობის შემდეგ არცერთი ჩემი მტრისთვის სამაგიერო არ გადამიხდია და მისთვის გულით ცუდი არ მისურვებია. მაგრამ, განა ამ ჭეშმარიტების მიხედვით მოიქცევი, როცა შენს წინ სხვას აწამებენ და კლავენ? თვით ამ ჭეშმარიტების ამღიარებელი პიროვნებაც კი მას თავის თავზე ავრცელებს მხოლოდ, მაგრამ სხვისი დაცვის მიზნით შეიძლება ბოროტის განადგურებაც კი მოუხდეს. არ უნ[illegible]ს, მაგრამ მოუხდეს. და მით უფრო, ცხოვრებას არასოდეს წარმართავს და ამოძრავებს პიროვნული მორალი. ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და როცა საზოგადოების ერთი ნაწილის ჩაგვრა და სულიერი ჩაწიხვლა გაუსაძლის ზღვარს აღწევს, იქ უკვე გროვდება რისხვისა და სასოწარკვეთის დენთი. გაძლების ზღვარი კი ყველას ერთნაირი არა აქვს. და ჩემთვის გასაგებია, რატომ არის რომ დღეს ყველაზე სუფთა, მგრძნობიარე და ამ დინებებში სრულიად უანგაროდ ჩართული ადამიანები აღიარებენ: რაც მოხდა, ეს ტრაგიკული გარდუვალობა იყო, რაც, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ასეთია, ვინც ამას ამბობს.

მაგრამ ცოტა მაკვირვებს იმათი მორალური აფეთქება, რომლებიც უცებ შეზარა სისხლმა და დალაქული მიწიდან სასწრაფოდ ქრისტიანი ქადაგის კვარცხლბეკზე შეხტნენ სახელდახელოდ წამოცმული თეთრი ხელთათმანებით. სისხლის სუნი მაშინ უნდა გეგრძნოთ, ბატონებო, მჭიდროდ ჩახვეული რომ იყავით მომავალ დიქტატორთან, თუმცა, ძალიან კარგად მოგეხსენებოდათ მისი ლტოლვა სისასტიკის აღლუმებისაკენ. სისხლიანი პანორამა მაშინ უნდა დაგელანდათ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას — ერთერთ ყველაზე კეთილშობილურ ორგანიზაციას, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლაში ზნეობრივ კომპრომისებზე არ წასულა — რომ ქოლავდა და მიწასთან ასწორებდა მომავალი „მხსნელი". მაშინაც, მომაკვდავ ზურაბ ჭავჭავაძესა და დაშავებულ, დასახიჩრებულ თამრიკო ჩხეიძეს მერაბ კოსტავას მკვლელებად რომ აცხადებდა საოცარი გეგმაზომიერებით; მაშინაც, 1989 წელს ცენზურა რომ დაუწესა გაზეთ „ქართულ ფილმს"; მაშინაც — 1989 წლის ნოემბერში ჭკუიდან გადასული აქცია რომ მოაწყო ლამის მთელმა პოლიტიკურმა და არაპოლიტიკურმა საზოგადოებამ და კომუნისტური მთავრობის ზრუნვითა და ამაგით ლამის 20 ათასიანი ლაშქრით ცხინვალს მიადგა... ტელევიზიის ეკრანებიდან რომ ვაჟკაცობდნენ: სისხლის ფასად რომ დაგვიჯდეს, ავტონომიური ოლქი უნდა გავაუქმოთო! და ყოველთვის სხვისი შვილების სისხლი ჰქონდათ მხედველობაში! დიახ, სისხლის სუნი ტრიალებდა და მგრძნობიარე ყნოსვას გუდავდა მაშინაც, ტაშის გრიალით რომ გააუქმეთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი! და მხოლოდ გიორგი ჭანტურიას ეყო იმის ვაჟკაცობა, ხმამაღლა ეთქვა: რომ საბედისწერო შეცდომა იყო როგორც ის ნოემბრის ლაშქრობა ცხინვალისაკენ, ისე ავტონომიური ოლქის ამ ეტაპზე გაუქმება. რომ გაუქმებისათვის შერჩეულ იქნა ყველაზე შეუფერებელი პერიოდი! სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობა კი დღესაც ყოფილი პრეზიდენტის უდიდეს დამსახურებად და უბრძნეს ნაბიჯად თვლის ავტონომიის გაუქმებას, მაგრამ რა არის სისწორის საზომი? იქ დამდგარი სისხლის ზღვა, ადამიანთა არნახული, გაუგონარი ტანჯვა-წამება, ადამიანებში მხეცის გაღვიძება და ბარბაროსული სისასტიკის ვაკხანალია ორივე, აქამდე ასე თუ ისე მშვიდობიანად მცხოვრები, ოდესღაც უახლოესი ხალხის მხრიდან, იმდენი ბავშვის, ქალის გაუბედურება, იმდენი სოფლის გაპარტახება, ადამიანური პატივისა და ღირსების აყრა, ქართული მიწა-წყლის ფაქტიური დაკარგვა — ნუთუ ეს ყოველივე არ არის საკმარისი, რომ ვაღიაროთ ავტონომიის იმ ეტაპზე გაუქმების გაუმართლებლობა? და თუ ავტონომიის გაუქმება ღირდა ამ უზომო უბედურებად, — მაშ, ყველაზე უფრო სამარცხვინო, პათოლოგიური დიქტატურის დამხობაში მართალი აღარავინ არის? იქ ყველანი გამარჯვებულები ვიყავით? ახლა გაგვახსენდა სისხლიანი ხელები?

ჩვენ ყველანი სისხლით ვართ მოსვრილი, იმათ გარდა, ვინც საკუთარი სისხლი დაღვარა. და ყველაზე მეტად კი ისინი არიან სისხლით მოსვრილნი, ვინც ამ დიქტატურის საძირკველში ჩაეშენა და პოლიტიკური მიმიკრიის, ელასტიურობისა და მანევრირების მეთოდით ან უნებლიედ შემცდარმა საკუთარ მხრებზე შესმული მოიყვანა კერპი, რომელიც სისხლიანი მსხვერპლშეწირვის გარეშე ვერ იარსებებდა.

სახალხო ფრონტს, როგორც ფართო საზოგადოებრივ გაერთიანებას, ისევე როგორც მწვანეთა მოძრაობას თუ რუსთაველის საზოგადოებას პირდაპირ ევალებოდათ წინ აღსდგომოდნენ პიროვნების თელვასა და უღირსობის ზეიმს, რაც აგერ სამი წელიწადია ჩვენს წინ იფურჩქვნოდა. აკი პიროვნების თავისუფლებას თავის სანუკვარ მიზნად სთვლიდნენ! ნაცვლად ამისა, სახალხო ფრონტმა სიამოვნებით მოისროლა თავისი პირველი ყრილობიდან ღირსეული პიროვნებები, რომლებიც აქაც ისევე ხელისშემშლელნი აღმოჩნდნენ როგორც ზვიად გამსახურდიას დიქტატურაში. მჭიდრო ალიანსი დაამყარა მომავალ დიქტატორთან, რომელმაც დაიქვემდებარა და დაიმორჩილა და ბოლოს დაშალა სახალხო ფრონტი. ფრონტის ხელმძღვანელობამ მოახდინა თავისი გამგეობის პარალიზება, იმიტომ რომ ასე ნებავდა გამსახურდიას, რომელიც გამგეობაზე კონტროლს ახორციელებდა თავისი მეთვალყურეების გ. პეტრიაშვილის, გ. მარჯანიშვილისა და სხვათა მეშვეობით. გამგეობამ იმასაც ვერ მიაღწია, რომ დახურული სხდომები გაემართა. სცენაზე უაზროდ ჩამწკრივებული გამგეობის წევრები აგზნებული და ხმაურიანი, სავსე დარბაზის წინაშე საქმიან საუბარსაც კი ვერ ახერხებდნენ ერთმანეთთან. იმიტომ რომ, ასე ნებავდა გამსახურდიას: ჯერ კიდევ 1989 წელს! სახალხო ფრონტმა ისიც კი ვერ მოახერხა, რომ თავისი გაზეთი ზვიად გამსახურდიას სადიდებელ ტრიბუნად არ ექცია და გაზეთის რედაქტორი მ. ფაჩუაშვილი, რომელიც გამსახურდიას პირად რედაქტორად იქცა, გაეთავისუფლებინა. ეშინოდა და იმიტომ! სახალხო ფრონტმა საჭიროდ არ ჩათვალა დაეცვა თავისი გამგეობის წევრები, როცა ისინი ზ. გამსახურდიამ საჯაროდ კრემლისა და ბაკატინის აგენტებად გამოაცხადა; როცა მათ ლანძღავდნენ და ქოლავდნენ! ისევე როგორც არ გააკეთა ეს მწვანეთა მოძრაობამ. სახალხო ფრონტის გამგეობა წინ არ აღუდგა მერაბ მამარდაშვილის ლანძღვა-გინებას გურამ პეტრიაშვილის მხრიდან გამგეობის სხდომებზე. და ყველაფერი ეს იმის გამო, რომ ბ-ნ ზვიადს არ სწყენოდა! მათ მხოლოდ მაშინ აღიმაღლეს ხმა, როცა ბ-ნ ზვიადმა გამოიყენა რა სახალხო ფრონტი, გაფუჭებულ სათამაშოსავით მიაგდო გვერდზე. მაგრამ მანამდე, მეორე ყრილობაზე, უკვე თამამად და მოფერებითაც განაცხადა: ეხლა კარგი ფრონტი ხართ იმიტომ რომ, სუკის აგენტები რეზო ჩხეიძე, ნიკო ჭავჭავაძე და ზაირა გელაშვილი გამგეობაში აღარ არიანო! აი ასეთი იყო სახალხო ფრონტი, რომელმაც ელემენტარული ზნეობრივი პრინციპები ვერ დაიცვა.

ასე რომ, თუ აღარ გინდათ სისხლიანი ხელისუფლება, ყველამ ერთად დაუცალეთ გზა ახალგაზრდებს, იმ ახალ ადამიანებს, რომელთაც იმ დიქტატურის შენებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, იმ დიქტატურისა, რომელიც უსისხლოდ რომ ვერც იარსებებდა და ვერც დაემხობოდა. რომელმაც ყველაზე კეთილ და უწყინარ ბიჭებსაც ხელში იარაღი აიღებინა.

ასე რომ, ჩამობრძანდით მაგ ზენაარბიტრის ყალბი კვარცხლბეკიდან, საიდანაც აქეთ-იქით დაზვინებულ ცხედრებს, სნაიპერის ტყვიით შუბლ და გულ შემსხვრეულ ბიჭებს, მათ ნატანჯ და ნაწამებ, დაკრუნჩხულ ცხედრებს განურჩევლობის უსახეო, ნაცრისფერ სუდარას აფარებთ და ამით იმაზე უფრო მწარე სიკვდილს უსჯით, ვიდრე მათ საკუთარმა ხასიათმა და ბედისწერამ არგუნა: არყოფნაში ძირავთ როგორც ერთნაირად დამარცხებულებს და დამნაშავეებს. თითქოს ცხვრის უპიროვნო ფარა ყოფილიყვნენ , რომელიც სხვისი ნებით მოქმედებდა მხოლოდ! განა თავისი ნებით არა თქვეს უარი უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე? განა ტყეში წანწალი და თავიანთი სახელის ჯიჯგვნა და თრევა არ არჩიეს მამაკაცური ღირსების აყრას? განა მათ შორის აღარავინ იყო ისეთი, სამარცხვინო სიცოცხლეს რომ სიკვდილი არჩია და საკუთარი სიცოცხლე შეგნებულად მიიტანა მსხვერპლად, რათა თავისი სამშობლოსათვის სირცხვილი ჩამოერეცხა? რადგან, გარდა ყველა სხვა სიკეთისა, ეს ხელისუფლება იყო ყველაზე არამამაკაცური ხელისუფლება, რაც როდესმე არსებულა ამ ქვეყნად. და თუ გვარდიელებს სიტყვა დემოკრატია არ ჰქონდათ ისე გააზრებული დღევანდელ დალხინებულ ევროპას რომ აქვს შეთვისებული (ასე ჩვენი ინტელიგენციაც შორს არ არის ამ ცნებისაგან), ის ზუსტად ესმოდათ და გრძნობდნენ, რა იყო კაცობა, მამაკაცური კოდექსი. და სიტყვა რომ მისცეს ხალხს, თუ ვინმე ძალით დაგესხმებათ თავს, ჩვენ დაგიცავთო, როდემდე გაეტეხათ ის სიტყვა! თავიანთი ამოწყვეტის მცდელობა (4 ოქტომბერს) აპატიეს პრეზიდენტს, იმავე ღამით ხალხისთვის უკვე მესამედ ცეცხლის გახსნა და მათზე ბტეერებით ნადირობა აპატიეს, და როდემდე ეპატიებინათ? იმ დღესაც ხომ ისევ ხელისუფლებამ გახსნა ცეცხლი! ესეც რომ მიეტევებინათ, რაღა გააჩერებდა სისხლის სმის მადაზე მოსულ მთავრობას? გვარდიის ამბოხი (და მასთან ერთად ნახევარი დედაქალაქისა და ნახევარი საქართველოსი) ეს იყო პირველ რიგში მამაკაცური ღირსების ამბოხი ყველაზე დედაკაცური ხელისუფლების წინააღმდეგ, თავის კიბეებზე უბედური ქალები რომ დააწვინა, რომელთაც როგორც იზაბელა კასტილიელმა დადო ფიცი, რომ პერანგს მანამ არ გამოიცვლიდა, სანამ გრენადა არ დაემხობოდა, ასე დაადებინა აღთქმა, მანამ არ აღმდგარიყვნენ სასახლის კიბეებიდან, ვიდრე ერთი ოპოზიციონერი მაინც იბოგინებდა საქართველოს მზის ქვეშ. და მიუხედავად ამ ყველაფრისა, თ.კიტოვანის გვარდია ვერცერთ შემთხვევაში ვერ გაბედავდა ამბოხს უფართოესი მასებისა და მთელი დემოკრატიული მსოფლიოს მორალური მხარდაჭერის გარეშე, რომელთა აზრითაც საქართველოში მძვინვარებდა სამარცხვინო დიქტატურა და ქვეყანა დამღუპველ ჩიხში იყო მოქცეული. იგი ვერ გაბედავდა ამბოხს პოლიტიკური პარტიებისა და ინტელიგენციის ერთობლივი გადაწყვეტილების გარეშე: სასწრაფოდ უნდა გადამდგარიყო პრეზიდენტი, რადგან იგი საქართველოს ღუპავდა.

**— რას იტყვით დღევანდელ ხელისუფლებაზე? რა მოგწონთ ამ ხელისუფლებისა და პირიქით, რა არ მოგწონთ? რა აზრისა ხართ მის საქმიანობაზე? და საერთოდ რას იტყვით დღევანდელ საზოგადოებრივ ატმოსფეროზე, ხალხის ამჟამინდელ, თქვენს ტერმინს თუ ვიხმართ, „თვითგამოვლინებაზე"?**

— „ვაცალოთ, ბატონო, ვაცალოთ..."

იცით რა, ჩემი მოსაზრებები დადებითიც და უარყოფითიც პირადათ მოვახსენე ბ-ნ თენიზ სიგუას, და ახლა ღიმილის უნარი რომ არ დავკარგოდ მოდით, ამაზე სერიოზულად არ გიპასუხებთ, ჯერჯერობით რა თქმა უნდა... ოღონდ ვისურვებდი ბატონ თ.სიგუას საინფორმაციო პრესკონფერენციები ყოფილი პრეზიდენტის საინფორმაციო მიტინგებივით არ გახშირდეს ტელეეკრანზე. ინფორმაციას და თან თავის საკუთარს თავად ტელევიზია უნდა იძლეოდეს და არა პრემიერი. ისე, გითხრათ სიმართლე, ბ-ნი თენგიზ სიგუა ისეთ ყოვლად წარმოუდგენელ როლში მოგვევლინა მოულოდნელად და ისეთი სასწაულებრივი კოშმარები გამოიარა, რომ რაკი (უკაცრავად პასუხია) აქამდე ჭკუაზე არ შეცდა, რაკი შესანიშნავად ფლობს საკუთარ თავს და ნერვიულ სისტემას, სიმშვიდეს ასხივებს და არავითარ აგრესიას არ ამჟღავნებს და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ იცის რასაც აკეთებს, ეს უკვე ღვთის წყალობად უნდა ჩავთვალოთ... ხოლო თუ ცოტა მხატვრულად შევხედავთ ამ ყოველივეს დიდად კოლორიტულ ფიგურებთან გვაქვს საქმე: შემოდგომიდან მოკიდებული ჩვენი საქართველო ხომ „სამი მუშკეტერის" საფრანგეთს დაემსგავსა. აქეთ მეფის გვარდია, იქით კარდინალის (შესაბამისად, შუაზე გახლეჩილი და ერთმანეთს წაკიდებული საფრანგეთი). როლებიც შეიძლება გავანაწილოთ: ბ-ნი თ. კიტოვანი, რა თქმა უნდა, პორთოსია, ბ-ნი თ. სიგუა არამისი (ყველაზე უფრო გამოუცნობი), ათოსი და დ'არტანიანი ბატონებმა ჯაბა იოსელიანმა და გ. ყარყარაშვილმა გაინაწილონ. მეფე იყოს ჩვენი [illegible] საქართველოსკენ მომავალი [illegible]ტიონი. მით უფრო, რომ ჩვენი გვარდია აშკარად მონარქს უჭერს მხარს. ის ფრანგებიც ასე ებრძოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ჩვენ ვინ მოგვცა იმისი ბედი, რომ სიუჟეტური კვანძი ყელსაბამით ან მსგავსი რამ მსუბუქი მოვლენით შეკრულიყო და გახსნილიყო... ჩვენი სახელმწიფო ბედისწერის ძაფებს სამი ისეთი მოირა ხლართავდა, რომ ანა ავსტრიელს იმათ დანახვაზე სულ ანგელოზები დაუფრთხებოდა. და ლუდოვიკო XIII-ის კარის ინტრიგები თავის მილედიანად ჩვენი საოჯახო სამეფო კარის ხლართებთან შედარებით შეიძლება ბაგა-ბაღის ეშმაკობებად ჩაითვალოს...

ეჰ, ვხუმრობ, მაგრამ გულში მეტირება... ბიჭების გამო...

**— როგორ უყურებთ საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენას, რაზედაც ამდენი ლაპარაკია ამ ბოლო დროს ჩვენში?**

— ვუყურებ უარყოფითად. ეჭვიც კი არ მეპარება, რომ რაღაც ახალ დილემაში გავყოფთ თავს. ჩემის აზრით, მეფის მოთხოვნილება ჩვენი ხალხის უმრავლესობაში შეესაბამება კულტის, მამის, პომპეზურობის, ყალბი თეატრის მოთხოვნილებას, სნობიზმს. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავთავისუფლდეთ კულტის სახადისაგან. მეფე კი ამის საშიშროებას ქმნის. არსებობს სხვა საშიშროებაც, რომ მეფე, რომელიც არ იცნობს თავის ქვეყანასა და ხალხს, მის ზნე-ჩვეულებებს, ფსიქიკასა და ენას, თავის კარიანად გადაიქცევა უაზ[illegible] დეკორაციად, ბუტაფორიად, რომლის შენახვა გაძვალტყავებულ ხალხს საკმაოდ ძვირი დაუჯდება. ბოლოს, ჩემი ვარაუდით, მეფე საქართველოდან გაიქცევა... ღმერთმა დაიფაროს ისეთი ტრაგიკული გაქცევისა და მერე სულაც მისტიური გაქრობისაგან, რაც ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს დაემართა, მაგრამ შეიძლება ძალზე კომიკურიც აღმოჩნდეს ეს გაქცევა. ნუთუ ტრაგი-კომედიის ჟანრს ვერ უნდა დავაღწიოთ თავი?

**— თქვენს ნაწერებში — როგორც პროზაში, ისე პუბლიცისტურში,— დიდი ადგილი უკავია რწმენის, რელიგიის თემას. ამ ორი წლის წინ თქვენ, პირველმა, და ვგონებ, ერთადერთმა აღიმაღლეთ ხმა იმ რელიგიური შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, რომელმაც იმ ხანებში იწყო აზვირთება და რამაც თავის აპოგეას ამ ცოტა ხნის წინ მიაღწია.**

**რას ნიშნავს პირადად თქვენთვის, ქალბატონო ნაირა, რწმენა, ღმერთი...?**

— რელიგიურ შემწყნარებლობას რაც შეეხება, დღეს ქართველი ხალხი, ისევე როგორც ყოველი ყოფილი საბჭოთა ხალხი, სრულიადაც არ არის შემწყნარებელი და არც შეიძლება იყოს. როგორ შეიძლება შემწყნარებელი, მაშასადამე, დიდსულოვანი და სამართლიანი იყოს არათავისუფალი ადამიანი? საბჭოთა საზოგადოების დიდი ნაწილი კი მონაა, უპირველეს ყოვლისა შინაგან მონობას ვგულისხმობ, უმცირესი ნაწილი კი ე.ი. პიროვნებები — ტყვეები არიან (იყვნენ), ანუ ისინი, ვისაც შენარჩუნებული ჰქონდა ზნეობაზე დაფუძნებული თავისუფალი აზროვნება და მხოლოდ ფიზიკურად იმყოფებოდა უზარმაზარ საბჭოთა ციხეში.

როცა კომუნისტური რეჟიმი შეირყა, სამართალდამცავი მარწუხები მოფამფალდა და ეროვნული სახელით მოსულმა სინამდვილეში კი საკმაოდ რეაქციულმა ერთმა ტალღამ ამის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სანქცია გასცა, გამოჩნდა კიდეც მთელი აგრესია საბჭოთა ქართველ ხალხისაც — თავისგან განსხვავებულის მიმართ. ქართველმა ქართველი შეიძულა, ქრისტიანი ქრისტიანს მოეკიდა მტრად და ის სხვა ეთნოსს და სხვა რელიგიას როგორღა აიტანდა? დღეს სადა აქვს ქართველ ხალხს, ისევე როგორც ნებისმიერ საბჭოთა ხალხს ამდენი დადებითი, შინაგანი ენერგია? დღესდღეობით სიყვარულისა და შემწყნარებლობის, მეგობრობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთდანდობის მარაგი დაშრეტილი მეჩვენება ჩვენი ხალხის სულში. ანტიკომუნისტური მოძრაობის დიდმა ნაწილმა

(დასასრული მე-6 გვ.)

# უბედურება გარდაუვალი იყო...

(დასაწყისი მე-4 გვ.)

იმდენი აგრესია მოიტანა როგორც ქართველისა ქართველის მიმართ, ასევე სხვა ჩვენი თანამემამულე ეთნოსების მიმართ რომ საქართველო უზარმაზარი შიშის თავზარის საუფლოდ იქცა ყველა მისი მობინადრისთვის. ჩვენი ერთმანეთის ჭამით სიტუტუცემდე მისული უტაქტობით სხვათა მიმართ, ისე დავაფრთხეთ და დავაშინეთ ჩვენი თანამემამულე არაქართველები, რომ ალბათ კარგა ხანს ველარ მოვიყვანთ გონს. ჩვენ რომ გონიერი ხალხი ვიყოთ და ვაცნობიერებდეთ, რომ მრავალ ეთნოსთან თანაცხოვრება ეს ჩვენი ისტორიული კანონზომიერებაა, ჩვენი ბედისწერაა, ჩვენი ხასიათი და თავისებურებაა და ეს ბედ-იღბალი გუშინ და გუშინწინ არ ჩასახულა; ჩვენ რომ გვახსოვდეს, რა დიდი როლი შეასრულეს ამ ხალხებმა ჩვენი სახელმწიფოს აშენებაში, როგორც სამეურნეო და საბრძოლო ძალამ; როგორ ჩამოყალიბდა ქართული სულისა და ხასიათის მომხიბლავი მრავალწახნაგოვნება მრავალ ეთნოსთან ადამიანური, კულტურული ურთიერთობის წყალობით; ჩვენ რომ გვესმოდეს, როგორ არის ჩვენი მომავალი დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გვენდობა, მოგვენდობა და შემოგვიერთდება ეს ხალხი მართლა გულით, მართლა შინაგანად (და არა ისე ყოფილი ხელისუფლება რომ ატერორებდა და აიძულებდა მისთვის მიეცათ ხმა); ჩვენ რომ გავაცნობიეროთ, თუ რა დიდ უპირატესობად შეგვიძლია ვიქციოთ მრავალი ეთნოსის არსებობა საქართველოს მიწაზე (რაც დღესდღეობით უბედურებად ეჩვენება მრავალს და მართლაც შეიძლება იქცეს განსაცდელად, თუკი სიბრძნეს ვერ გამოვიჩენთ) და რა დიდებული და დიდი პოლიტიკა შეიძლება ვაწარმოოთ მათი წყალობით მსოფლიოს უამრავ ქვეყანასთან, თუკი ეს ჩვენი არაქართველები მართლა გულით დაიცავენ საქართველოს ინტერესებს მთელი კაცობრიობის წინაშე; ჩვენ რომ ის დიდი დიპლომატიური სიბრძნე და ინტუიცია გაგვაჩნდეს, რაც ჩვენს მეფეებს გააჩნდათ, და რამაც ფიზიკურად გადაარჩინა პატარა ქვეყანა,-ანტიკომუნისტური მოძრაობის დასაწყისშივე მათთან მივიდოდით და ვეტყოდით: „ძმებო, მოდი, ერთად განვთავისუფლდეთ ამ წყეული იმპერიისგან, რომელმაც ჩვენ ყველანი ერთნაირად დაგვჩაგრა და მერე თავისუფალ საქართველოში ყველამ ერთად და ღირსეულად ვიცხოვროთ, ამაზე უკეთეს სამშობლოს ვერსად იპოვით და მოდი, ერთად გადავარჩინოთ და დავიცვათ ჩვენი საერთო სამშობლო“. ამის ნაცვლად იმთავითვე ატყდა ერთი მუშტების ქნევა და თვალების ბრიალი... და დამთავრდა ზღვა სისხლით ყოფილ სამხრეთ ოსეთში. მოკლედ, ეს ცალკე საკითხია და ამას ყურადღებით ვაკვირდებოდი მთელი ეს წლები, რა ხდებოდა და როგორ ხდებოდა...

სხვაზე რა უნდა ვთქვა, როცა ერთმა მართლა კარგმა მწერალმა, ე.ი. ჰუმანისტმა, ორი წლის წინ მითხრა: ჩვენი უპირველესი ვალია, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ყველა საშუალებით გავრეკოთ არაქართველები საქართველოდანო! და როცა სასაგამშრალმა ვიკითხე: „ყველა საშუალებებით? ანტისამართებლივითაც?“ „ყველა საშუალებებითო“-გამიმეორა. „დავხოცოთ, დინამიტები შევუგდოთ?“— დავაზუსტე მე. აქ ცოტა ეუხერხულა მორწმუნე ქრისტიანს და „ნუ, მოკვლა არ არის საჭიროო“— მითხრა. ასეთი პროგრამა-მოწოდებები — მონოეთნიკური საქართველოს შექმნისაკენ, როგორიც საქართველოც ისტორიულად არ არსებულა — ოფიციალურ პრესაშიც დაიბეჭდა. ისიც დაიბეჭდა, მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა არსებობდეს სკოლებიო — რამაც ბომბივით იფეთქა აფხაზეთში, სხვას რომ თავი დავანებოთ. მე ჩემს მწერლურ „სოციალურ გამოკითხვას“ ვატარებ— რომლის მიზანია, დავადგინო რამდენად არის გამჯდარი რეაქციული ცნობიერება ხალხში. ბევრი რამ მაქვს ჩაწერილი.

სხვათა შორის, ცნობილ ფსიქო-ანალიტიკოს ე. ფრომს მოაქვს ასეთი მაგალითი, სოციალური გამოკითხვის შედეგი: კითხვაზე: არის თუ არა ყველა ადამიანი თანაბარი, თანასწორი, თანაბრად ღირებული ღვთის წინაშე? აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად პასუხობს. მაგრამ იქვე დასმულ კითხვაზე: თანასწორია ზანგი და თეთრკანიანი? უმეტესობა პასუხობს, რომ არა. მათი აზრით, ზანგი დაბალი კატეგორიის ადამიანია. ასევეა გაორებული დღევანდელი ქართველის მორალიც (სხვათა შორის როგორც მაშინ იყო, კომუნისტების დროს, როცა კომუნისტებს ხმამაღლა აქებდნენ და ზურგს უკან ლანძღავდნენ): ხმამაღლა ამბობს, ჩვენ ყველაზე შემწყნარებელი ერი ვართ, არასდროს არავინ შეგვივიწროვებია და არც არასდროს მოგვივა ეგ აზრადო, რადგან იცის რომ ასეა საჭირო, თუნდაც დემოკრატიული ევროპის გასაგონად. არაოფიციალურად (ანუ გულში) კი, ასე, 80 პროცენტს, არც ადამიანური, არც რელიგიური შემწყნარებლობა არ გააჩნია. (სხვათა შორის, სწორედ ამას შენიშნავს ერთი დასავლეთგერმანული გაზეთი: გამსახურდიას ხელისუფლება და საზოგადოების დიდი ნაწილი დემოკრატიას თამაშობს, რადგან ეკონომიკური დახმარება სჭირდება ევროპისაგანო).

შევიწროების სხვადასხვა ფორმები არსებობს: ფიზიკური და ფსიქოლოგიური, როცა შენს თავს ღვთისგან რჩეულ, რასობრივად და სულიერად სხვებზე აღმატებულ ერად აცხადებ, როცა მრავალი ნაციონალობის აღმნიშვნელი სიტყვები (არ ჩამოვთვლი, ყველა თვითონ ჩამოთვლის შესანიშნავად) შენს მეტყველებაში სალანძღავ სიტყვებად არის ქცეული, როცა ყველა სხვა ხალხს, შენს მეზობელს, შენსავით დაჩაგრულ, შენსავით გამწარებულ და გატანჯულ ხალხს ზემოდან დაჰყურებ და თავს მხოლოდ მდიდარ და ძლიერ ერებს უტოლებ, როცა მიგაჩნია, რომ მეეზოვეობა თუ შრომის სხვა სახეობანი მხოლოდ გარკვეული ეთნოსის საქმეა და შენ არ გეკადრება, და ა.შ. ესეც ნაციონალური შევიწროებისა და ჩაგვრის უმძიმესი ფორმაა, რომელიც თავის შედეგებს იწვევს. დასავლეთმა ეს გზა გაიარა, ეს განსაცდელი არსებითად უკან მოიტოვა. არსებითად მეთქი, რომ ვამბობ, იმას ვგულისხმობ, რომ ყოველთვის და ყველგან იქნებიან ნაციზმისა და შოვინიზმის ბაცილის მატარებელნი, მაგრამ სახელმწიფო და პიროვნული მორალი, ამღიარებელი ადამიანის უფლებებისა, უფართოესი დემოკრატიული, ჰუმანური წრეები და ფენები განსაზღვრავენ დასავლეთის სახეს. ერთხელ, ერთი ოფიციალური თავყრილობა, რომელსაც ვესწრებოდი, გერმანიაში დემონსტრაციულად დატოვა რამდენიმე გერმანელმა, იმის გამო რომ, ერთმა გერმანელმა უპატივცემულოდ მოიხსენია იქ მაცხოვრებელი თურქები. აღშფოთება ამ სიტყვებით გამოხატეს: „როგორ ბედავთ, შეურაცხყოფა მიაყენოთ ადამიანს ეროვნული ნიშნით და თან გერმანიის მოქალაქესო“. ხოლო ერთხელ ფრანგმა ქართველოლოგმა, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ადამიანმა პროტესტის ნიშნად დატოვა ქართული სუფრა, სადაც ზანგები დაცინვით მოიხსენიეს. აი, ასეთია მოწინავე ევროპელის მოქალაქეობრივი სახე.

აქ კი, წავლენ, წამოვლენ და ყველაზე უფრო აგრესიული ადამიანები გულუხვად მიიწერენ ხოლმე ჩვენი დიდი წინაპრების მორალურ თვისებებს, თავს იწონებენ ევროპელ ტურისტებთან, „ნახეთ, რა შემწყნარებელი ხალხი ვართ, ერთად გვიდგას ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთიო!“ ვითომ თვითონ ააშენეს! უნდა გავიგოთ, რომ კულტურა კარგვადია და სულიერი ღირსებები ბიოლოგიურად ან გენეტიკურად არ გადაიცემა, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ „ქართული გენის“ სკანდალური ადეპტები.

შუასაუკუნეებში, ალბათ, ჩვენ უფრო დემოკრატიულები და შემწყნარებლები ვიყავით, ვიდრე ევროპელები, ახლა კი პირიქითაა: რამეთუ ყველანაირად ჩამოვრჩით, ამოვვარდით ჩვენი მორალური კალაპოტიდან. აბა, ახლა მოინდომოს ვინმემ, სხვამ სალოცავის აშენება და ვნახავ, როგორც ავაშენებინებთ! ჩვენ ვინ მოგვცა ჩვენი მეფეების გენიალური დიპლომატია, როცა უმაღლესი დიპლომატია უმაღლეს ზნეობას ემთხვეოდა! ისინი თვითონ — იმიტომ უშენებდნენ განსხვავებული რელიგიის ხალხს სალოცავსაც და სტუმართა მისაღებ სასახლესაც, იმიტომ იწვევდნენ მათთვის ცნობილ პიროვნებებს აღმოსავლეთიდან, რომ იცოდნენ: ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნება კი არ არის უბედურება, არამედ სიბნელე! ამიტომ განსაკუთრებით ზრუნავდნენ უცხო ტომებში კულტურის შეტანაზე, განათლებული რელიგიურობის დაფუძნებაზე, რადგან საერთო შეგნება და კულტურის დონე უფრო მეტად აახლოვებს ადამიანებს, ვიდრე სისხლხორცეული კავშირები.

გაიხსენეთ 88-89-90-იან წლებში რა ანტიმუსულმანური კამპანია იყო გაჩაღებული ჩვენს პრესაში და ცხოვრებაში! ყველაზე საშიში და დამღუპავი რამ საქართველოსთვის! საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი მონაწილეობდა ამ იდეოლოგიურ ისტერიაში! ისეთ შეურაცხმყოფელ, უტაქტო რამეებს წერდნენ მაჰმადიანი ხალხებისა და თვით ისლამის წინააღმდეგ, ვამბობდი, ღმერთო დიდებულო, კიდევ კარგი, ქართული ქართველების გარდა არვინ იცის მეთქი. ის ყველაფერი რომ წაეკითხათ ზოგიერთ ჩვენს მეზობელ, ფიცხ სახელმწიფოში, შეიძლება ბევრ ქართველ „ბრძენს“ სალმან რუშდის ბედი სწევოდა, სიკვდილი რომ მიუსაჯა აიათოლა ჰომეინიმ ისლამის შეურაცხყოფისათვის. ეჰ, რამდენჯერ დავწერეთ და განვაცხადეთ ტელევიზიით (ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, 1990 წელს) : ნუ წერთ ისეთ რამეს, რასაც ძალზე მტკივნეულად განიცდიან კავკასიის მაჰმადიანი ხალხები, რომლებსაც ყველაზე ძლიერ გამოხატული აქვთ არა რელიგიური განსხვავებულობის, არამედ, კავკასიური ერთიანობის განცდა, განსაკუთრებით ქართველთა მიმართ. მომავალ მეგობრებს და შეუცვლელ მეზობლებს მტრებად ნუ იხდით! როდემდე უნდა აშინოთ ისედაც დაშინებული და არეული ხალხი ამდენი სავარაუდო და შესაძლებელი „მტრით“. არა და არა! ვერ გავაგებინეთ! „მტრულ მუსულმანურ ალყაში ვართ! არიქა! გაფრთხილდით, მტრულ მუსულმანურ ალყაში ვართო!“ გულის სიღრმემდე შეურაცხყოფილი იყვნენ ჩვენი ჩრდილო კავკასიელი და აზერბაიჯანელი მეგობრები. ჩერქეზები, ბალყარელები, ინგუშები, რა ვიცი, ვინ აღარ გვეუბნებოდა: როგორ ე.ი. ჩვენ ვართ უცხო მტრის დივერსანტები საქართველოს წინააღმდეგო?! ასეთი წერილები რუსულად ითარგმნებოდა და ვრცელდებოდა ჩრდილო კავკასიაში. აი, როგორ მზადდებოდა ქრისტიანულ-მუსულმანური და კერძოდ, ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს კონფრონტაცია. ჩვენს სიბრიყვეზე დაყრდნობით! ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს უახლოეს მეზობლებთან ურთიერთობას. ეს ურთიერთობა თუ წაგვიხდა, ამას ვერცერთი ევროპული სახელმწიფო ვერ მოგვიგვარებს. და აშლილი და არასტაბილური ქვეყანა კიდევ არავის სჭირდება!

მერე იმდენ ხანს ვიქეთ თავი და ვიტრაბახეთ, ერთადერთი ხალხი ვართ, ვისთვისაც უცხოა ანტისემიტიზმიო, ვერც მივხვდით, იმით რომ ვამაყობდით, რომ მკვლელები არ ვიყავით. ღირსებად ვითვლიდით, რომ ებრაელები არ გაგვიჟუჟია. ერთხელ ბაქოში ყოფნისას ორი სტუდენტი გამომელაპარაკა. ერთმა ხელი გადახვია მეორეს და შემომცინა: „მე აზერბაიჯანელი ებრაელი ვარ, ეს აზერბაიჯანელი მუსულმანია, უახლოესი ძმაკაცები ვართ. აზერბაიჯანელები ერთადერთი ხალხია, რომელსაც არასოდეს ებრაელები არ შეუვიწროებია. თქვენთან როგორ არის საქმე ამ მხრივ, საქართველოშიო?“ გამეცინა: „აბა ერთი ქართველებს ჰკითხე, ვინ არის ის ერთადერთი ხალხი ანტისემიტიზმი რომ არ იცის მეთქი!“ ასე რომ, ანტისემიტიზმი უცხოა საერთოდ, კავკასიელი ხალხებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ დასავლეთის ქვეყნებზე ჰოლანდიაზე, დანიაზე ... და ა. შ. ჩვენ კიდევ თავში ავიგდეთ, ეს რა კარგები ვყოფილვართ, თურმე შეგვეძლო ებრაელები დაგვეხოცა და რაკი არ დავხოცეთ ამიტომ მადლობლები უნდა იყვნენ ჩვენი და ბევრი რამ სხვა პრეტენზიებიც აღარ გამოთქვანო! აი, სწორედ ამ ახალმა „იდეოლოგიამ“ განაპირობა რომ სურამში მოხდა ებრაელთა დარბევა 1989 წლის ოქტომბერს. სალოცავიც ქვებით იყო ჩალეწილი. იქ ჩავედი და ჩავიწერე ყველაფერი. და ვერავინ დამარწმუნებს, რომ კრემლის პროვოკაცია იყო. თუ იყო და ფსიქოლოგიური — ბაზა ამისთვის ჩვენ შევქმენით. ამ ფსიქოლოგიური ბაზის გარეშე კრემლი ვერცერთ პროვოკაციას ვერ განახორციელებდა! მერე სხვადასხვა ფორმით გაგრძელდა ის აგრესია... ჯერ მარტო გ. გაბაშვილის ობსკურანტული, ანტისემიტური სტატიები რად ღირდა! რაც კრიშნაიდებს სცემდნენ და ბეგვავდნენ ჩვენი შემწყნარებელი ქრისტიანები, მიკვირს ამდენი დევნით მათი რიგები თუ არ გაასმმაგეს! დევნა ყოველგვარ რელიგიას თუ სექტას რომ აძლიერებს, არ გაგვიგია? ბაპტისტებსაც კარგად გაუშრეს სისხლი, კათოლიკებსაც გვარიანად მისდგნენ. თუ ვაღიარებთ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს, ამისი ანაბანაც არ გვიდა ვიცოდეთ? — ადამიანი თავისუფალია და რა სარწმუნოებასაც უნდა იმას აირჩევს, და თუ უნდა სულაც არცერთ რელიგიას არ მიიღებს. თუ კანონს არ არღვევს, მისი დასჯის, მით უფრო ლინჩის წესით დასჯის უფლება ვისა აქვს? ხოლო რა ტანჯვაში არიან საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი მესხები, ამას ხომ ენა ვერ აღწერს. ჩვენი „დემოკრატი“ პოლიტიკოსებისა და ინტელიგენციის მიერ გაჩაღებული პროპაგანდის შედეგად ყველა, ვისაც კი მოესურვა, თავს უფლება მისცა ჩაეწიხლა და დაერბია ისინი! 1989 წლის მერაბ კოსტავას მიერ ჩამოსახლებული დვალიძეების 10 ოჯახი, უკვე საქართველოს მოქალაქეები, მთელი წელი ტანჯეს და მერაბ კოსტავა რომ გარდაიცვალა, მერე დაარბიეს, სახლი დაუცხრილეს და საქართველოდან გაყარეს! პირველ ბავშვს, საქართველოში რომ დაიბადა მერაბი დაარქვეს თავიანთი კომაგისადმი სიყვარულის ნიშნად. და აი, ის პატარა მერაბი ახლა ლტოლვილია, გაგდებული საქართველოდან, ისევე როგორც გარიყულ იქნა მერაბ კოსტავას რაინდული და კეთილშობილური სული გამსახურდიას მიერ ნაზარდი „ეროვნული“ მოძრაობიდან. ორი თვის წინ კი მაჰმადიან ქართველთა ორმოცამდე ოჯახი დააწიოკეს, ახალგაზრდა ბიჭს ყელში დანა გამოუსვეს (ძლივს გადარჩა) და უკვე ოცი წლის მანძილზე აქ ნაცხოვრები ხალხი დედაბუდიანად გაასახლეს. ყველაფერ ამას ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერნი სჩადიოდნენ! ასე რომ ძალიან გაკვირვებით ნუ ვიკითხავთ ხოლმე, ნეტა რა ცოდვების გამო ვისჯებითო!

ყოფილ სამხრეთ ოსეთში ჩვენი პოლიტიკური სიბეცის, ცენტრის მზაკვრობისა და ქართველ — ოს პროვოკატორ პოლიტიკოსთა წყალობით უსასტიკესი და სამარცხვინო სისხლისღვრა რომ დაიწყო, საქართველოს მთელ დანარჩენ ტერიტორიაზე, თბილისშიც გაჩაღდა ოსების შევიწროვება, სამსახურებიდან გამოყრა და ა. შ. ჩვენ ქართველ ინტელიგენციას არც გაგვიგია. თუ გვესმოდა, ბუნებრივად ვთვლიდით. აი, მაშინ მოგვეჭრა თავი თუ მოგვეჭრა მსოფლიოში. დასავლეთ გერმანულ პრესაში განცვიფრებით წერდნენ: კარგი, ცხინვალში ომია და პროვოკაციის ხლართებში გაბმული ხალხი როგორც ახერხებს, ისე ებრძვის ერთმანეთს... მაგრამ თბილისიდან და სხვა ადგილებიდან რაღად სდევნიან ოსებს, ნუთუ ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ ადამიანის უფლებებზეო? როგორ არა გვაქვს. ასე მაგალითად: მწერალთა კავშირის სამდივნომ და მრგვალის ხელისუფლებამ მთარგმნელთა კოლეგია რომ დაშალა და მწერალთა კავშირს დაუქვემდებარა, რათა კარგად მოეშთო, ბ-ნი ოთარ ნოდია, როგორც ეროვნული კონგრესის წევრი, თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს და მის ნაცვლად მოგვივლინეს პრეზიდენტის ერთ-ერთი თანამესანგრე ამირან კალაძე. რომელიც გახლდათ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი. ხოდა, მან ადამიანის უფლებათა დაცვა იმით დაიწყო, რომ სასწრაფოდ გაანთავისუფლა ბ-ნ ო. ნოდიას მძღოლი, ქართულად აღზრდილი, ქართული გვარის მქონე შესანიშნავი, წესიერი ახალგაზრდა კაცი: ოსური წარმოშობის გამო. თან ასეთი ზედემოკრატიული სიტყვებით: შენ თვითონ ვერ ხვდები, რომ უნდა წახვიდეო! მეორე თანამშრომელი გაათავისუფლა იმის გამო, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრია!

სიტყვა გამიგრძელდა... უსამართლობაზე აშენებული საქართველო მე არ მინდა. ვისაც უნდა, ღმერთმა მარადიულად აცხოვროს ასეთ საქართველოში.

რაც შეეხება ღმერთსა და რწმენას. ეს ისეთი ფაქიზი და ინტიმური სფეროა, სიყვარულის ისეთი სათუთი სახეობა, რომ ამაზე ხმამაღლა და საჯაროდ ლაპარაკი აუტანლად მეჩვენება. ჩემთვის ღმერთი ადამიანში არსებობს სიყვარულის, სინდისისა და სიკეთის სახით, თუკი ამათი გამიჯნა საერთოდ შესაძლებელია. ნათელი სულის, კეთილი და ნატიფი ბუდისტი, მუსულმანი თუ იუდაელი ჩემთვის უფრო ახლობელია ვიდრე რეგვენი „ქრისტიანი“, კარგი ინგლისელი, ინდოელი, არაბი თუ რუსი უფრო ახლობელია ვიდრე უვარგისი ქართველი. წმინდანებიდან განსაკუთრებით მიყვარს ფრანცისკო ასისელი, რადგან მარტო ღმერთი და ადამიანები კი არ უყვარდა, არამედ უსაზღვროდ უყვარდა ცხოველები და მცენარეები. ყველას ეფერებდა და ყველას მეგობარი იყო. „ჩემო საყვარელო ძმაო მგელო“, „ჩემო საყვარელო მეგობარო ცეცხლო“, აი, ასე მიმართავდა ყველას და ჭველაფერს. ამიტომ განსაკუთრებით მიყვარს ვაჟა ფშაველა. მთელ სამყაროსთან მეგობრობა და და-ძმობა აი, ეს არის ჩემთვის უმაღლესი რელიგია.

თუმცა სახარებას სკოლის ასაკიდან ვკითხულობ და მწამს და უსაზღვროდ მიყვარს იესო ქრისტე. და ძალიან, ძალიან ბევრს ვფიქრობ მასზე, — ჩემს თავს ქრისტიანად მაინც არ ვთვლი, იმიტომ რომ მტრის სიყვარული არ შემიძლია. არასოდეს მიმიყენებია ვინმესთვის ზიანი შეგნებულად, და სამაგიერო არ გადამიხდია, პატიებაც არ მიჭირს, მაგრამ ვინც არ მომწონს, ის არც მიყვარს. ასე რომ მე ვერ ვახორციელებ ქრისტიანობის უმთავრეს მოთხოვნას:“გიყვარდეს მოყვასი შენი“,და „გიყვარდეს მტერი შენი“. მე მიყვარს მხოლოდ ის, ვინც მომწონს, სულიერად რა თქმა უნდა, და ეს თვით ნათესავებზეც ვრცელდება. ამიტომ მორწმუნედაც ვერ ჩავთვლი ჩემს თავს, რაც რა თქმა უნდა, მაწუხებს. ჩემთვის ძალზე ახლობელია თ. მანის სიტყვები:“მე არა მაქვს დიდი რწმენა და არც ძალიან მწამს რწმენისა . გაცილებით მეტად მწამს იმ სიკეთის, რომელსაც რწმენის გარეშეც შეუძლია არსებობა და სწორედაც რომ ეჭვის ნაყოფი შეიძლება იყოს“.

ესაუბრა
ფელიქს კოჭიაშვილი

27 იანვარი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ...

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ გამოღმით ერთნი ვართ, გაღმით მეორენი. შუაში კი ეს სატიალე ღვარძლის მდინარე ჩამოგვიდის და ერთ დროს ზედ გადებული ხიდი ისევ ჩატეხილია... და ნურც ერთი მხარე ნუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენ მეტნი ვართ და ისინი ცოტანი — თითოეული ჩვენგანი არა ხალხის რომელიმე ჯგუფთან თუ პარტიასთან, ანდა რაიმე საზოგადოებასთან, კავშირთან თუ ასოციაციასთან ერთად, არამედ პიროვნულად უნდა აგებდეს პასუხს თავის საქციელზე თუ გამონათქვამ-დაწერილზე...

ხოლო ახლა კი, ვიდრე სტილის შეუცვლელად, უკომენტაროდ შემოგთავაზებდეთ ამონაწერებს მკითხველთა წერილებიდან, ილიას დავუგდოთ ყური:

„ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? (...) ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა-და ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ მეთქი... იმათ ჭირსა და ლხინს ცალკე ლობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ეხლა ჩვენ-შუა? მარტო ერთი პტყელი ენა მწიგნობარისა, — მე ჩემისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი, — მარტო პტყელი ენა-მეთქი მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმაძღრისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ. (...) გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკლომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალია დახუჭვილი, ის ყურია დახშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად."

* * *

„დიდად პატივცემულ ნოდარ გრიგალაშვილს დემოკრატ-ავტომატიან ჟურნალისტს.

თქვენ არაპროფესიონალი, უსინდისო ჟურნალისტი ბრძანდებით. ადამიანი, რომელიც თავის საქმეს უსინდისოდ ემსახურება მაგას ცხოვრების უფლება არა აქვს. თქვენ რა უფლებებით არსებობთ თქვენს გაზეთთან ერთად. კირში ამომხრჩვალი მენახეთ. მე „ვილოცებ" თქვენთვის რომ ამიხდეს ეს სურვილი. თქვენ ხალხის მტრები ხართ... მე რომ უფლებამოსილი ვიყო თქვენისთანებს ყველას გიკრავდით თავს ვირის აბანოში... თქვენ 15-16 წლის ნაბიჭვრებს, მორფინისტებს ავტომატი ხელში დააკავეთ ჩვენს სასროლად. ჩვენ მაგას არ გაპატიებთ, თქვე უდღეურებო. ქალებს დაგეცინის თქვენი კორესპონდენტი ოხერი წივწივაძე... რა ყველა არანორმალური, დარეხვილი, გამწარებული შეურილხართ ერთად. თქვენ რომ მორალზე ან ზნეობაზე გელაპარაკოთ, ვირის თავზე სახარების კითხვა გამომივა... ისე შვილსა და ძეზე დაბოლოების მქონე გვარის ხალხს გულში არ გეხატებათ ია-ზე, ვა-ზე, ა-ზე დაბოლოების მქონე გვარები ე.წ. მეგრელები. ძენო და შვილნო, მოდი დავიყოთ, როგორც ეს ერთ დროს იყო, მაშინ ვნახოთ, ვინ შეგრჩებათ მებრძოლი ოპოზიციიდან... ჩვენი პოზიციის ხალხი (ჩვენ ხომ თქვენზე მეტნი ვართ) ფულს ვაგროვებთ კერძო ტელევიზიის შესაქმნელად, მაშინ ნახეთ თქვენი დღე (ამერიკის კომერციულ ტელევიზიასაც გაუსწრებთ) თქვენს შავსა და თეთრს ყველაფერს გამოვაჩენთ. პატ. ნათაძე სად გადადგამს ფეხს ჩვენს ტელევიზორს ყველაფერი ეცოდინება. მერე კიდევ ვეგმაში გვაქვს ჩვენს ტელევიზორებს ზემოთ ან გვერდებში არა აქვს მნიშვნელობა სად იქნება სასროლები უნდა დავამონტაჟოთ და ვინც არ მოგვეწონება უნდა ვესროლოთ. მე მჯერა თქვენც მოხვდებით მაგ სიაში, თუმცა ისიც არაა გამორიცხული, ცოტა ჭკვიანად თუ მოიქცევით ბოლოსთვის შემოგიტოვოთ. ჩვენ ხომ შავი სია გვაქვს შედგენილი. თუმცა თქვენს თავზე თქვენ თვითონ ადგენთ და მერე პოზიციას აბრალებთ. ამისთანა გათახსირებული ხალხი ხართ თქვენ. ეს კი თქვენ არ გჯერათ ჩვენ კი გვჯერა. „ძირითად ბირთვს" მოვიშორებთ მერე რა გვიჭირს ვიცხოვრებთ კარგად...

თქვენი დიდი თაყვანისმცემელი მკითხველი სოხუმიდან

„ბოროტი სულით განწყობილი იყავით (მიმართავს ბატონ თამაზ წივწივაძეს-რედ.) და ხართ უსირცხვილონი ხომ სხვა ერი კითხულობს თქვენს მაიმუნურ წერილებს თუ უკვე ტვინი დაგეჩლუნგათ მწერლებს სხვა ვერაფერს წერთ და იმიტომ მიადექით ერთი მეორის ლანძღვა გინება ეს ქართველები კომუნისტების ხელში ხართ აღზრდილები და დამპალ ქვეყანაში იმიტომაა რომ ვერ ავიტანიათ ახლა გამსახურდია თქვე ბეჩავებო თქვენა"

თ. ჩახნაშვილი

„კიტოვანო! (...) თქვენ „სტოლიპინის ჰალსტუხი" მოგიხდებოდათ ჩემის აზრით თქვენს მიერ ჩადენილი ბოროტებისათვის ქართველი ერის წინააღმდეგ რომაა მიმართული. ღმერთს მადლობა შესწირეთ რომ ჩვენი პრეზიდენტი მეტად ჰუმანურია და მხოლოდ შერიგებისაკენ მოგიწოდებთ."

რუსუდან ტუხაშვილი

„ვინ ხართ თქვენ ვასო ჩორგოლაშვილო?! (მიმართავს ცნობილ პერსონაჟს ელდარ შენგელაიას ფილმიდან „ცისფერი მთები" — რედ.) შურით და ბოღმით დატენილი ნათაძიანთი?! ეს ერთი კარავი აკლია ვითომ საჩხერეს? შენ თუ გააკეთე რაიმე მისთვის? ნუთუ ვერ ხვდებით რამდენს უფუჭებთ საქართველოს როცა მის ხელისუფლებას ასე ჰკენწლავთ, ჰკბენთ, ღრღნით? გასატანი მართლაც თქვენ ხართ თქვენი ნათაძით."

ელენე მაისურაძე

„ბევრი მართლაც დასაჭერია... გაიხსენეთ, ბატონო, „უაღრესად განათლებულებო" როგორ ისჯებიან თქვენს მოწონებულ დემოკრატიულ ქვეყნებში პრეზიდენტების უბრალო (თუნდაც ბრალიანი) შეურაცხყოფისათვის... თანდათან მთელი მაგისი (თამაზ წივწივაძის — რედ.) პიროვნება ამობრწყინდა საკუთარი ნაწარმოებების ალზე, მე შემზარა სატანამ — ტაკიმასხარის ნიღაბში და სამოსელში შემალულმა."

გაგრელი მკითხველი

„პროფესორო ერთი სიტყვა მაინც გაიმეტე ერთხელ კარგი (ნათაძეს მიმართავენ კარვის დიაცნი — რედ.) სულ შხამს უშვებთ პირიდან დეპუტატი ბრძანდებით და დეპუტატი უნდა იყოს კრისტალი სარკესავით"

ქართველები

„თქვენნაირმა ნაძირალებმა, მორფინისტებმა, ბანდიტებმა არ უნდა ახსენონ თავიანთი ჭუჭყიანი პირით ჩვენი საყვარელი პრეზიდენტი. ნოდარ ნათაძე, რომან გოცირიძე, თედო პაატაშვილი, ელდარ შენგელაია მათი გვარები აღარ მახსოვს ხშირ ხშირად რომ გამოდიოდნენ ცილის წამებებით. მგლის ხროვაში იყვნენ ჩვენი ძვირფასი უზენაესის საყვარელი ნამდვილი ვაჟკაცები მოქცეულნი. ამას საქართველო ვუყურებდით. კბილებდაკრეჭილი მგლები ხართ. ზუსტად თქვენი ჩათვლით გრიგალაშვილო მეხი კი დაგეცეკე"

ნანული ზარანდია
(ამ წერილს კონვერტზე ნანული ხარნაული აწერია)

„თქვენს გაზეთს „საქართველო" კი არ უნდა ერქვას არამედ „ღვარძლი". თუ თქვენი გაზეთი არ მოიშლის ლანძღვა-გინების წერილების ბეჭდვას (თ. წივწივაძემ ა. რცხილაძე კი არ გალანძღა მაგით მთელი ერი აიგდო მასხარად და დაამცირა ამის უფლება მას არა აქვს) გაკეთდება ხელმოწერები ხალხის უმრავლესობის მიერ თქვენი გაზეთის გასაუქმებლად და თუ ესეც არ გასჭრის ცილისწამებისათვის მიიღება მკაცრი ზომები".

მ. ტოგონიძე

„ბევრი და ბევრი არ არიან ქართველობის ღირსი და გასაძევებლები არიან საქართველოდან... ჩემი ნება რომ იყოს ამათ ყველას ზემოთაღნიშნულებს და სხვა უამრავს კედელთან მივაყენებდი, გავაშიშვლებდი და შემდეგ მართლაც დავხვრეტდი, ლევან ლოლობერიძე რომ ხვრეტდა, აი ისე... პატივი ეცით ზვიადს, მოეფერეთ ყველას, ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის, თორემ მოვა თქვენი აღსასრულიც."

ბართლომე ბარათელი

„რა უთხრა იმას ვინც შენ გიწოდოს მწერალი (თამაზ წივწივაძეს მიმართავენ — რედ.) რა დაგიწერია შე გათახსირებულო რომელი დაინახე კალთააწეული ქვების მსროლელი იმ ღამეს.

ხელმოუწერელი წერილი

„რატომ გვიშლით რომ პრეზიდენტი გვიყვარს და ჩვენც მის გარეშე სიცოცხლე არ შეგვიძლია. თქვენ ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეგეძლოთ და ახლაც შეგიძლიათ. მაგრამ რატომღაც სატანის გზას შესდგომიხართ და დიდად საკვირველია, თორემ რატომ გამძულვარდით ასე..."

გ. ტოგონიძე

„ნუ აყოლიხართ ისტერიკებიან ამბოხებულ საქართველოს დამქცევებს ნოდარი (იგულისხმება ბატონი ნოდარ ნათაძე — რედ.) წერს ოცდაათი ქალი დამიხვდა შიგნით და გარეთ არ მიშვებდნო, ის მონაგონი იქნება ხუთიათასი ქალი ერთად დაგესევით თუ არ მოეშვები ბოროტი სულობას არ გვჭირდები დადექი."

იზა ნადირაშვილი

ტბილისი. გაზეტ „საკარტველოს" რედაკციას. კაზბეკსკაია 17.

„ხალხი ჩკუის საზომია ბატონ ზვიად გამსახურდიას ხალხი ერტხმად მიკვება კონსტანტინეს შვილობის ერის ერტგულებიტ ამტკიცებს ვინც მას მხარს არ დაუჩერს იგი მოგალატედ რომ გამოცხადდეს დანაშაული არ იკნება."

რამაზ იმნაძე
ლამარა გვიბრიძე

„მართალია თქვენი გაზეთი საქართველოს სახალხო ფრონტის ორგანოა, მაგრამ სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ნულოვან იმიჯს გაზეთიც არ უნდა გადააყოლოთ.

ბატონი ზვიადისა კი მჯერა და ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ეს პიროვნება ყველაფერს გააკეთებს თავისი, ჩემი და თქვენი სამშობლოსათვის."

მაია ცნობილაძე

„გეშლებათ ბატონებო!

ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ იკადრეთ, რაც თქვენ ტკივილი მია[illegible] საქართველოს და ქართველ[illegible] ჰთელი სისრულით გამოჩნდა, [illegible] თქვენ საქართველოს, ვაი რომ ულირსი და ავადმყოფი ნაწილი ყოფილხართ! რა ვქნათ? გვქონდეს იმედი თქვენი თანდათან გამოჯამრთელებისა, თუ აუცილებელი გახდება ავადმყოფი ნაწილის მოკვეთა?"

თინა კურცხალია.

* * *

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ გამოღმით ერთნი ვართ, გაღმით მეორენი. შუაში კი ეს სატიალე ღვარძლის მდინარე ჩამოგვიდის და ერთ დროს ზედ გადებული ხიდი ისევ ჩატეხილია...

ამ ჩატეხილ ხიდს რა ეშველებაო, თუ ჩვენს გულს მძიმე დაღად დააჩნდება ეს სატკივარი, ისევ ილიას უნდა მივმართოთ, ვნახოთ, როგორი გამოსავალი აქვს ნაპოვნი თავისი შეუმცდარი ალღოთი და დავფიქრდეთ, დღეისთვისაც სწორი ხომ არ არის...

„— შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკან-ღა ვიხედებოდე, როგორც ახლა შენ. იქ, უკან ბნელა... ღამეა...

— და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!.. — წამოიძახა ტკივილით კესომ.

— ეგ მინდა, რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

— ვიცი და ვტირი.

— ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი...

— არჩილ, წინ რაღაა, წინ! — შეჰბღავლა უეცრად კესომ და ორსავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაუწყო.

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაზევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელ ტივს მოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკნისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ..

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!"

**P.S. ზემოთ წარმოდგენილი წერილები დეკემბერ — იანვრის ტრაგედიამდე მიიღო რედაქციამ. ხოლო ამ საშინელმა სისხლისღვრამ, როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძის კესოსავით სინანული კი არ აღძრა მათში, პირიქით უფრო გაამძვინვარა ისინი, რასაც არაერთი ტერორისტული სატელეფონო საუბარი თუ წერილი მოწმობს...**

**ღმერთმა ქნას, მგლის თავზე სახარების მკითხველის მდგომარეობაში არ ვიდგებოდეთ თავს და დიდი ილიას აზრი, ჩატეხილი ხიდის გამთელების შესახებ, ყურად გვეღოს, დავფიქრებულიყავით...**

მოამზადა
მიხო მოსულიშვილმა

# დაიწყო პოლიტიკური ბარიერების გადალახვა

**ჩვენს კორესპონდენტს თამრიკო მოლაშვილს ესაუბრება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ბატონი ირაკლი ქადაგიშვილი.**

**— ბატონო ირაკლი, პოლიტიკურ წრეებში სერიოზული რეზონანსი გამოიწვია იანვრის დასაწყისში თქვენი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ბატონ გიორგი ჭანტურიას ვიზიტმა მოსკოვში.**

— ჩვენი კონკრეტული მიზანი გახლდათ შემდეგი: შევხვედროდით ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოების საგანგებო ელჩებს მოსკოვში და ჩაგვეტარებინა პრესკონფერენცია.

**— რამდენადაც ვიცი, ელჩების დონეზე შეხვედრა, ჯერჯერობით არა თუ პოლიტიკური პარტიებისათვის, არამედ საქართველოს წარმომადგენლობისთვისაც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამ ეტაპზე რომელი ქვეყნის საელჩოებმა გაგიხსნათ კარი?**

მინდა გითხრათ, რომ ინგლისის, ავსტრალიისა და საფრანგეთის საელჩოებში შეხვედრების ორგანიზება არავითარ სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული. წლების განმავლობაში არამარტო მათთან, არამედ სხვა საელჩოების წარმომადგენლებთანაც მჭიდრო საქმიანი კავშირი გაგვაჩნია. ისინი გვიცნობენ და ჩვენს შორის გარკვეული ნდობაც არსებობს. მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება ითავა ჩვენი პარტიის წარმომადგენელმა მოსკოვში, ბატონმა გიორგი ზუმბაძემ.

პირველი შეხვედრა ინგლისის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩთან მოსკოვში, ბატონ როდრიგ ბრეიდვეიგსთან შედგა. მასთან საუბრისას დეკემბერ-იანვარში მომხდარი მოვლენები შევაფასეთ, როგორც ტოტალიტარული რეჟიმის დამხობა საყოველთაო-სახალხო აჯანყების გზით. აღვნიშნეთ, რომ ხელისუფლების სათავეში მოსული დროებითი სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა მიზნად ისახავს სიტუაციის სტაბილიზაციას, სამოქალაქო მშვიდობისა და ერთაშორისი ურთიერთობის მოლაპარაკების გზით გადაჭრასა და ახლო მომავალში ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალიზაცია და დემოკრატიზაცია.

ბატონი როდრიგი დაეთანხმა სიტუაციის ჩვენეულ შეფასებას. აღნიშნა, რომ ლონდონი დაინტერესებულია საქართველოში სტაბილური, დემოკრატიული სიტუაციის შექმნით. განგვიცხადა, რომ დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის, ხელს არაფერი არ შეუშლის.

დიდი ბრიტანეთის ელჩს მივაწოდეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ჩვენი ქვეყნის მომავალ სახელმწიფოებრივ მოწყობას ხედავს კონსტიტუციური მონარქიის სახით. ამ საუკითხში ჩვენი თანამშრომლობა დიდი ბრიტანეთის სამეფო მთავრობასთან, მითუმეტეს, აქტუალურად გვეჩვენება.

ავსტრალიის საელჩოში შეხვედრის დროს, ამ სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა, პოქსმა მთლიანად გაიზიარა ჩვენი შეხედულება საქართველოში მიმდინარე პრცესთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ავსტრალია დაინტერესებულია აგრარულ საკითხში საქართველოსთან ფართო თანამშრომლობისათვის.

ბატონმა პოქსმა განაცხადა, რომ ყოფილ პრეზიდენტს უთხოვია საქართველოში ჩამოსვლა. მან თავი შეიკავა ამ ვიზიტისაგან იმ მიზეზით, რომ ავსტრალიის მთავრობა გამსახურდიას რეჟიმს თვლიდა, როგორც ანტიდემოკრატიულსა და დიქტატორულს. პრეზიდენტს ავსტრალიის ელჩის სტუმრობა შეიძლება გამოეყენებინა, პროპაგანდისტული თვალსაზრისით თავისი რეჟიმის განსამტკიცებლად.

დასასრულს აღნიშნა, რომ სიტუაციის სტაბილიზაციასთან ერთად არა მარტო ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდოდა საქართველოში, არამედ ავსტრალიის მთავრობის თანხმობის შემთხვევაში სიამოვნებით გახდებოდა თავისი ქვეყნის ელჩი თბილისში.

ბოლო შეხვედრა საფრანგეთის საელჩოში შედგა. შევხვდით, ამ ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მოსკოვში, ბატონ დიუფორგს. იგი დადებითად მოეკიდა საქართველოში მიმდინარე პრცესებს და გამოთქვა კონტაქტების აღდგენის სურვილი, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის არსებობდა. საფრანგეთის ელჩმა კეთილად მოიხსენია ამ ქვეყანაში მცხოვრები ქართველები. აღნიშნა, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საფრანგეთის ცხოვრებაში არა რიცხობრივი მაჩვენებლით, არამედ ხარისხობრივი შემადგენლობით. გვთხოვა, დროებითმა მთავრობამ კონკრეტული წინადადებები მიაწოდოს ჰუმანიტარული დახმარების თაობაზე და შექმნას სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც გაემგზავრება საფრანგეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აღნიშნა, რომ ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკური თავშესაფრის შესახებ საკითხი ოფიციალურად მთავრობაში არ დასმულა.

ამ შეხვედრებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, დასავლეთის ქვეყნები რეალურად არიან დაინტერესებულნი საქართველოსთან თანამშრომლობით. საქართველომ კი თავის მხრივ უნდა დაიცვას ბეიკერის ხუთი პრინციპი. სამივე ელჩმა კმაყოფილება გამოთქვა ჩვენი პარტიისა და მისი დიპლომატების მიმართ ხანგრძლივი, ნაყოფიერი საქმიანობის გამო.

**— თქვენთან საუბრიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაიწყო პოლიტიკური ბარიერების გადალახვა, რის გარეშეც წარმოუდგენელია საქართველოს გასვლა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. უახლოეს მომავალში არის თუ არა დაგეგმილი შეხვედრები დანარჩენი ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებთან?**

— დაგეგმილია შეხვედრა ესპანეთის ელჩთან. მოგეხსენებათ, ბაგრატიონთა დინასტიის ორი წარმომადგენელი ესპანეთში ცხოვრობს. ვთვლით, რომ ესპანეთში გამგზავრებამდე შევხვდეთ ამ ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლებს.

იმედი გვაქვს, უახლოეს ხანში შედგება შეხვედრა ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან მოსკოვში, ბატონ სტრაუსთან. მჯერა, უახლოეს მომავალში დასავლეთის ქვეყნებთან კონტაქტები გაცილებითინტენსიური და საქმიანი გახდება.

# სუნთქვით განწმენდა

## კონსტანტინე ბუტეიკო

საუკუნის დასაწყისში მოეწყო ექსპერიმენტი, რომელმაც მაშინ ბევრი გააოგნა: ცხოველებს მიუერთეს სასუნთქი აპარატი და აიძულეს ისინი ღრმად ესუნთქათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ცხოველები დაიხოცნენ. მას შემდეგ ეს ექსპერიმენტი მრავალჯერ გაიმეორეს, და აი, რა აღმოჩნდა. ღრმა სუნთქვა თურმე სულაც არ იწვევს ორგანიზმში ჟანგბადის მომატებას, უფრო მეტიც, ამის შედეგად ორგანიზმიდან გამოიდევნება ნახშირორჟანგი, მცირდება მისი რაოდენობა ფილტვებში, სისხლში, ქსოვილებში. ამის შედეგად კი ზიანდება ნერვიული სისტემა. უკვე 60 წელია ცნობილია, რომ ნახშიროჟანგის სიმცირე ორგანიზმში იწვევს ძილის მოშლას და არა მარტო ძილის მოშლას. ისინი, ვინც ღრმად სუნთქავენ, ადვილად ღიზიანდებიან, უქვეითდებათ მეხსიერება. შეიძლება დაემართოთ სტენოკარდია, ინფარქტი, ჰიპერტონია.

ნახშიროჟანგის შემცირება ორგანიზმში იწვევს ტუტე რეაქციას, რაც, თავის მხრივ ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას, ორგანიზმის დამცავი სისტემის დასუსტებას. შედეგად — თავს გვატყდება მრავალგვარი სენი, უბრალო სურდოს უკუგდებაც კი ჭირს, რამეთუ ამ დროს გამოყენებული სამკურნალო პრეპარატები ღრმა სუნთქვას აძლიერებენ. ყველაფერი კი ისევ ამ უკანასკნელით იწყება. იგი არათუ სხვადასხვა ავადმყოფობის, თვით სიკვდილის მიზეზიც შეიძლება გახდეს. არადა ათეულობით წლების განმავლობაში გვასწავლიდნენ, რომ ნახშიროჟანგი შხამია, რომ ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისათის აუცილებელია რაც შეიძლება მეტი ჟანგბადი.

ამ დროს კი ადამიანს სჭირდება სულ 12-16 პროცენტი ჟანგბადი, ანუ იმდენი, რამდენიც 8000 მეტრის სიმაღლეზეა. როგორც ჩანს, ეს არის ერთი მთავარი მიზეზი ამისა, რომ მაღლა მთებში მცხოვრები ადამიანები ას წლამდე და უფრო მეტ ხანსაც ცოცხლობენ. მათ შორის არ გვხვდებიან ასთმით, ჰიპერტონიით, სტენოკარდიით ანუ ღრმად მსუნთქავი ადამიანებისათვის ასერიგად დამახასიათებელი ავადმყოფობანი.

ფიზიოლოგიის კანონებით, ავადმყოფობა იწყება მაშინ, როცა ამა თუ იმ დასაშვებ ნორმათა ზღვარი იშლება. ნახშიროჟანგი გვევლინება როგორც თავისებური თერმომეტრი. მისი დონე განაპირობებს სიცოცხლის ნორმას: რაც უფრო ქვეითდება იგი, მით უფრო დიდია ადამიანის დაავადების ალბათობა, ხოლო თუ უჯრედებში 3 პროცენტზე ნაკლები ნახშირორჟანგი რჩება, ისინი იღუპებიან. მოიმატებს ნახშირორჟანგი და იზრდება უჯრედების ამტანიანობის უნარიც. ვფიქრობთ, ეს გარკვეულწილად ხსნის იოგების სასწაულთმოქმედების საიდუმლოებას. როგორც აღმოჩნდა, იოგური ვარჯიშები ამცირებს სუნთქვის სიხშირეს და შესაბამისად ორგანიზმში ზრდის ნახშირორჟანგის რაოდენობას. ის „პრანა", რაზედაც ლაპარაკია იოგთა წიგნებში — ნახშიროჟანგია! ჩემს პაციენტებს ვარჯიშის შემდეგ შეუძლიათ 10 წუთით „შეამცირონ" სუნთქვა. ერთ-ერთი პაციენტი, ასთმიანი რომ მოვიდა ჩემთან, ახლა პირდაპირ ფრენით ადის მესამე სართულზე — და არავითარი სუნთქვის აჩქარებაც კი! მას შეუძლია სამი წუთი არ ისუნთქოს! მისთვის ამის გაკეთება არაფერს ნიშნავს.

დავაზუსტოთ რა არის ღრმა სუნთქვა. ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის სიხშირე არაფერს ნიშნავს, მთავარია მათი სიღრმე, ანუ ჰაერის ის რაოდენობა, რომელიც ფილტვებში შედის და ფილტვებიდან გამოდის. ვარჯიშის დასაწყისში ყოველ პაციენტს ვთხოვ ჩაისუნთქოს ღრმად, ორ-სამჯერ უფრო ღრმად ჩვეულებრივ ჩასუნთქვასთან შედარებით, რის შედეგადაც მეყსეულად ეწყებათ თავის ტკივილი, გულის ჩხვლეტა, კანის ქავილი. საკმარისია შეწყვიტონ ღრმა სუნთქვა და რამდენიმე წუთში უსიამოვნო შეგრძნებები უქრებათ.

მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ ადამიანებს არასწორად სუნთქვას, რასაკვირველია, მომავალ დედებსაც და ჩნდებოდნენ არასწორი სუნთქვით „დაპროგრამებული" ბავშვები. ასე ახალგაზრდავდებოდა ასთმა — მრავლდებოდნენ ასთმიანი ბავშვები. ამას გარდა, ორგანიზმში იზდება ქოლესტერინის რაოდენობა, რაც თავის მხრივ იწვევს სახეზე ყვითელი ლაქების გაჩენას. ამ ლაქებს ვერ სპობს წამლები. სამაგიეროდ ქრებიან სუნთქვის შესუსტების შემდეგ და საერთოდ, სუნთქვის რეგულირების დაუფლების შემდეგ შეგიძლიათ მართოთ თქვენი ორგანიზმი, გათავისუფლდეთ ძლიერი ტკივილებისაგანაც კი. გაიხსენეთ, როგორ აჭერთ კბილებს კბილებზე და აჩერებთ სუნთქვას როცა სასტიკ ტკივილს განიცდით.

სუნთქვას ამცირებს მცენარეული საკვები, ცილები კი, პირიქით, აღრმავებენ. არასასურველია ხაჭოს, შაქრის, ქათმის და საერთოდ ხორცის ჭამა, რძის, ყავის, მაგარი ჩაის მიღება, მაგრამ დიეტა სავალდებულო არაა. ჩემი პაციენტები, ჩვეულებრივ, თვითონვე ამბობენ უარს ამ პროდუქტებზე ვარჯიშის პროცესში. და საერთოდ ცოტას ჭამენ.

სუნთქვითი ვარჯიშები შეიძლება შეცვალოს ფიზიკურმა დატვირთვამ: დღეში ორი-სამი საათი საჭიროა „ნამუსიანად", ოფლისღვრამდე მუშაობა. ამასთან ერთად კარგია მასაჟი და წყლის პროცედურები. არის პოზები, რომლებიც სუნთქვას ანელებენ: ჰერში ყურება, მოკეცილ ფეხებზე ჯდომა („ლოტოსის" პოზა — ინდოელ იოგთა კლასიკური პოზა). რასაკვირველია, უკეთესია ვარჯიში გამოცდილი სპეციალისტის მეთვალყურეობით. ხშირად, ვარჯიშის დასაწყისში ადამიანი უვარესად გრძნობს თავს, ეწყება ოფლიანობა, სურდო, თავის ტკივილი, უწევს ტემპერატურა, შეიძლება ალებინოს... ყოველივე ეს არის ორგანიზმის რეაქცია წმენდაზე. ყოველ უჯრედში შლაკი დაგროვილი და იწყება მათი გამოდევნა, ანუ ორგანიზმის გამოჯანმრთელება. რაც უფრო დაავადებულია ორგანიზმი. მით უფრო უარესად გრძნობს თავს ადამიანი ვარჯიშის დაწყებისას. ეს პროცესი ორ-სამ დღეს გრძელდება.

მკურნალობის ეს მეთოდი სრულიადაც არ წარმოადგენს პანაცეას ყველა ავადმყოფობისაგან. ერთი შეხედვით იგი მეტად უბრალო და ადვილი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ადამიანისაგან მოითხოვს მტკიცე ნებისყოფასა და მოთმინების უნარს.

გაზ. „დაიჯესტი", № 11 1991 წელი.



მურთაზ აბშიძის ნახატი

# ჩვენს მკითხველს!

ჩვენი გაზეთის 24 იანვრის ნომერში დაბეჭდილ ბატონ ნუგზარ ანთელავას წერილს „ასეთი ამბები ხდებოდა ზუგდიდში", „ხალხური"-ს გრიფით ეპიგრაფად ახლავს რუსთაველის სტრიქონი „თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირნიცა შევიწყნაროთა".

რედაქციამ შენიშნა ავტორისეული უზუსტობა. სამწუხაროდ, კორექტორის უპასუხისმგებლობის გამო აღნიშნული სტრიქონი დაიბეჭდა პირვანდელი, „ხალხური"-ს სახით.

რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველს ამ უხერხულობისათვის.

ინდექსი 66447
ფასი 2 მან.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
რედაქტორი ნოდარ ბრიგალაშვილი